გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N21 (9308) | 31 ივლისი . 2019 წელი | ფასი 50 თეთრი

## საკანალიზაციო სისტემა დევნილებს თავსატეხს უჩენს

2



## მოსახლეობის მოთხოვნა გათვალისწინებულია

2



3

## სამედიცინო ამბულატორიები მუნიციპალიტეტის 5 სოფელში აღდგება

4

## ალერსიანი მკვლელის დასამართლებლად



## დაპირისპირებას დანაშაული რომ არ მოჰყვეს

4



7

## შარშანდელთან შედარებით კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევები შემცირდა

# იმერეთის რეგიონს ახალი გუბერნატორი ჰყავს

ნინო ნანიტაშვილი



ზვიად შალამბერიძე 22 ივლისს მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე ვიცე-პრემიერმა, მაია ცქიტიშვილმა და რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის მრჩეველმა, სოზარ სუბარმა ოფიციალურად წარადგინეს.

ზვიად შალამბერიძე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ 4 თვის წინ დაინიშნა. იმერეთის გუბერნატორის მოვალეობას ბოლო სამი თვის მანძილზე, შავლეგო ტაბატაძის პოსტიდან წასვლის შემდეგ ასრულებდა. სხვადასხვა წლებში შპს "ფრეგოს" დასავლეთ საქართველოს რეგიონული მენეჯერი, "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია "ირაოს", "ჯიპი აიჰოლდინგის" ყოფილი ხელმძღვანელი, "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შესაძლებლობათა ზრდა "გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური ანალიტიკოსი, 2019 წლის 22 ივლისიდან იმერეთის მხარის მოსახლეობასა და საქართველოს მთავრობას შორის დამაკავშირებელი რგოლით მხარის რწმუნებულის წარდგენას სამხარეო ადმინისტრაციაში იმერეთის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, ადმინისტრაციის თანამშრომლები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ზვიად შალამბერიძემ, მაია ცქიტიშვილმა და სოზარ სუბარმა შეხვედრების ბოლოს ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

კარგი მენეჯერი და საუკეთესო პიროვნება. ასე შეაფასა ზვიად შალამბერიძე "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში და იქვე თანამდებობა მიულოცა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ მნიშვნელოვანი პროექტების ერთად განხორციელება დააანონსა მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ.

# საკანალიზაციო სისტემა დევნილებს თავსატეხს უჩენს



ნინო ნანიტაშვილი

ხმაური იყო რესპუბლიკის ქუჩის 86 ნომერში, საავადმყოფოს ყოფილ შენობაში, იქ, სადაც 6 წელია, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები ცხოვრობენ. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა საკანალიზაციო ქსელის გაუმართაობას უჩივის. შიდა დაზიანებული სისტემის გამო კორპუსის მცხოვრებლები ანტისანიტარიის წინაშე დგანან.

კორპუსს სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წელს ჩაუტარდა. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია "ამაგმა" შეასრულა. დევნილ მოსახლეობას სწორედ მშენებლის მისამართით აქვთ პრეტენზიები.

დევნილი მოსახლეობის პრობლემების ადგილზე შესწავლის მიზნით სამტრედიაში საგანგებოდ ჩამოვიდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე. მამუკა ცოტნიაშვილი დევნილებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მშენებელს სამუშაოების დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორებისთვის ვადას აძლევს.

მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე გაღიზიანებულ მოსახლეობას თუ ვინმეს მიმართ არ ჰქონდა პროტესტი, ეს ადგილობრივი ხელისუფლება იყო. დევნილები ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტის მერისგან, ვალერიანე ფოცხვერიასგან ისინი მაქსიმალურ ყურადღებას გრძნობენ.

შეხვედრის ბოლოს მამუკა ცოტნიაშვილმა და ვალერიანე ფოცხვერიამ კომპანიის წარმომადგენლებს პრობლემის აღმოფხვრა დაავალეს. იმედი გამოთქვეს, რომ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა ადამიანური ცხოვრების პირობებს შეუქმნის.

# სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მელაურის თემში

თეა ბაბუნაშვილი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მელაურის თემისთვის გამოყოფილი 42900 ათასი ლარი თემში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაწესრიგებლად გაანაწილეს ადგილობრივებმა. დაგეგმილი სამუშაოებიდან ნაწილი უკვე დასრულებული, ნაწილიც დასრულების პროცესშია.

ადმინისტრაციული შენობის მოწესრიგება პრიორიტეტად მიიჩნიეს აქაურებმა. პირდაპირი შესყიდვის წესით სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინდმეწარმე ბაკურ ბაკურაძე ასრულებს. 17550 ათასი ლარის მოცულობის სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულებას, სპეციალისტებთან ერთად, თემში მერის წარმომადგენელი სოფიო კიკაჩეიშვილი ადევნებს თვალყურს. ადმინისტრაციულ სახლში მიმდინარე სამუშაოები მალე დასრულდება. ბიბლიოთეკას ახლად გარემონტებული ოთახი დაეთმობა. აგრეთვე, სპეციალისტებისა და სხვა თანამშრომლების სამუშაო კაბინეტებისა და მისაღების კაპიტალური რემონტიც მალე დასრულდება.

საჭიროება ითხოვდა და მელაურის საჯარო სკოლის მიმდებარედ მოსაცდელი აიგო. სოფელში კიდევ ერთი ახალი მოსაცდელი აიგება. ორივე ახალი მოსაცდელითვის 3900-3900 ლარი დაიხარჯება. სამი მოსაცდელი გარემონტდა სხვადასხვა უბანში. სამივე მოსაცდელის სარეაბილიტაციოდ 5850 ათასი ლარი დაიხარჯა.

გარდა ამისა, მოწესრიგდა სოფლის სტადიონი. ეს სამუშაოები 3900 ლარი დაუჯდა სოფელს.







# მოსახლეობის მოთხოვნა გათვალისწინებულია

გალაკტიონის ქუჩიდან ეგრეთ წოდებულ კომახოურის სასაფლაომდე დღემდე არსებული გზის მოუწესრიგებელი მონაკვეთი, პრობლემებს უქმნიდა მოსახლეობას სარიტუალო წეს-ჩვეულების აღსრულებისას. ჭირდა ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეების მოძრაობა სააღდგომოდაც. ცოტა ხანში ეს გზა და მისი მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდება. გალაკტიონის ქუჩიდან სასაფლაომდე გზის 974 მეტრ მონაკვეთზე 5 სანტიმეტრის სისქის ასფალტბეტონის საფარი დაიგება, რომლის განიც 5 მეტრი იქნება. გარდა ამისა, აქ არსებული ორივე გვირაბი შერემონტდება, გაუკეთდება ცხაურები, რის შემდეგაც გვირაბებში წყალი აღარ დადგება. ამ ყველაფერთან ერთად სასაფლაოს მიმდებარედ მოეწყობა მანქანების სადგომი. მოხრეშვითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

სამუშაოებს, რომელზეც 174 ათას 640ათას ლარს დახარჯავს რეგიონალური განვითარების ფონდი, შპს "არქეოპოლისი" ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ ამ გზისა და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნა იყო, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმარებისას ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა.

თეა ბაბუნაშვილი

თეა ბაბუნაშვილი

# ალერსიანი მკვლელის დასამარცხებლად

***დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინიციატივით C ჰეპატიტისა და შიდსის ვირუსის წინააღმდეგ მიმდინარე გამოკვლევების მორიგი ეტაპი სამტრედიაში გომის თემიდან დაიწყო და დიდ ჯიხაიშში გაგრძელდა. სწორედ აქ დაესწრო მის მიმდინარეობას იმერეთის ახლად დანიშნული გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე, რომელიც აქამდე მოვალეობას ასრულებდა. გუბერნატორმა და მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ დიდ ჯიხაიშელებთან ერთად ჩაიტარეს შესაბამისი კვლევა.***

სამტრედიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, მარინა თევზაძის განცხადებით, მოსახლეობის ინფორმირება ასეთ გამოკვლევებზე ინტენსიურად მიმდინარეობს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი გოჩა გიორგიძე საუბრობდა იმაზე, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის სკრინინგული პროგრამა საქართველოში 2015 წლიდან მიმდინარეობს. მასში ჯანდაცვის სისტემის ყველა რგოლია ჩართული. ცდილობენ, მაქსიმალურად გამოავლინონ ყველა ფარული შემთხვევა. საზოგადოება ინფორმირებულია, რომ დაავადების დროული გამოვლენა მნიშვნელოვანია მისი შემდგომი განკურნებისთვის. აქვე ისიც, რომ დროული მკურნალობით მისგან სრულად განკურნება უკვე შესაძლებელია. გოჩა გიორგიძე დაავადებათა კონტროლის ცენტრის ახალ ინიციატივაზეც საუბრობს: "ეს არის ინტეგრირებული სკრინინგი, C ჰეპატიტი, შიდსი და პარალელურად, კითხვარული მეთოდით ხდება ტუბერკულოზის რისკების შეფასება. ამ სამი მძიმე სოციალური დაავადების გამოსავლენ პროგრამაში, ჯერჯერობით, იმერეთის 7 რაიონია ჩართული. იმედია, სამტრედიაც მოხვდება მათ რიცხვში. პროგრამა უკვე ოჯახის ექიმების დატრენინგებას ითვალისწინებს, რათა მათ კარდაკარ იარონ დაავადებების გამოსავლენად. ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამაში ჩასართავად საჭიროა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, დაახლოები, 10 ათასი ლარის გამოყოფა მთელი წლის განმავლობაში. ეს თანხა ოჯახის ექიმების დამატებითი სტიმულირებისთვის არის საჭირო, თორემ ტესტები და კვლევები უფასოა. C ჰეპატიტს "ალერსიან მკვლელს" ეძახიან, რადგან დაავადების მიმდინარეობის პროცესში მას არანაირი სიმპტომები არ აქვს. როცა იგი გამოვლინდება, ხშირ შემთხვევაში მკურნალობა დაგვიანებულია. ამიტომ ვცდილობთ, კარდაკარ სიარულით მის გამოვლენას. პროგრამაში ჩართვის შემდეგ დაავადებული მკურნალობს პრეპარატით, რომლის ერთი კურსიც 80 ათასი დოლარი ღირს." კვლევით დადგენილი მონაცემებისა და დაავადების სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში მოსახლეობის 5,4% აქტიურად ინფიცირებულია. დაახლოებით, 150 ათასი ადამიანი პროგრამაში დაუყოვნებლივ ჩართვას საჭიროებს, რათა დაავადების სრული ელიმინაცია იქნეს მიღებული. 50 ათასზე მეტი პაციენტი უკვე განკურნებულია და მათი 90% _ სრულად!





ძლიერი წვიმის მიუხედავად, იმ დღეს დიდ ჯიხაიშში 100-ზე მეტი პაციენტი გამოიკვლიეს. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ ინტეგრირებულ სკრინინგ-პროგრამაში ჩართვა დააანონსა და აღნიშნა: "ჩვენ ყოველთვის ვერთვებოდით იმ აქციებში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას რომ გულისხმობს. ამჯერადაც, ბუნებრივია, ყველა საჭირო ზომებს მივმართავთ მსგავსი აქციების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტში. 1 აგვისტოდან კი სამტრედიაც შეუერთდება იმ რაიონების რიცხვს, სადაც ინტეგრირებული გამოკვლევები ჩატარდება."

იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ კი ხაზი გაუსვა, რომ "იმერეთში ინტენსიურად მიმდინარეობს გამოკვლევები ამ საშიშ დაავადებებზე. და რადგან პირველადი კვლევები და მისი გამოვლენა განკურნების პირველი ნაბიჯებია, ვცდილობთ, მოსახლეობას ხელი შევუწყოთ და მათი უსასყიდლოდ ჩატარების საშუალება მივცეთ. ამჯერადაც ასეთ აქციაზე ვართ. ვისურვებდი, ნაკლებ დაავადებულ და მეტ განკურნებულ ადამიანს იმერეთსა და საქართველოში."

როგორც სამტრედიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მსგავსი აქციები მუნიციპალიტეტში ინტენსიურად გაიმართება და როგორც უშუალოდ ქალაქს, ასევე ყველა სოფელს მოიცავს.

# კამპანია "შენ C" სამტრედიაში "ახალი გზის" იმედით



28 ივლისს ჰეპატიტის მსოფლიო დღეს საქართველოში კამპანია "შენ C" დაიწყო! "ახალი გზა" სამტრედიის ცენტრში შეუერთდა ამ კამპანიას და 29 ივლისს, ქალაქის სხვადასხვა უბანში, ასევე, დაბა კულაშში ჩაატარა ტესტირება C ჰეპატიტზე მობილური ამბულატორიის გამოყენებით.

სამტრედიაში სულ ტესტირება 37 ბენეფიციარს ჩაუტარდა. მათგან 4 იყო დადებითი შემთხვევა.

ყოველი წლის 28 ივლისს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ჰეპატიტის მსოფლიო დღეს აღნიშნავს. მიზანი ვირუსული ჰეპატიტებისა და ამ ვირუსებით გამოწვეული დაავადებების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა.

დღეისათვის მსოფლიოში 325 მილიონ ადამიანს აქვს ვირუსული ჰეპატიტები. აქედან 290 მილიონმა არც კი იცის დაავადების შესახებ, ანუ 10-დან 9 ადამიანს აქვს ვირუსული ჰეპატიტი. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. ამიტომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციები ერთიანდებიან სლოგანით: "ვიპოვოთ დაკარგული მილიონები" და მოუწოდებენ მოსახლეობას ჩაიტარონ ტესტირება. ყოველ წელს მსოფლიოში მილიონ 400 ათასი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი სწორედ ვირუსული ჰეპატიტია". _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა "ახალი გზის" სამტრედიის ცენტრის ხელმძღვანელმა.

ვირუსული ჰეპატიტი ეს არის ინფექცია, რომელიც ანადგურებს ღვიძლს და შეუძლია სიცოცხლისათვის საშიში გართულებები გამოიწვიოს. რამდენადაც C ჰეპატიტს იშვიათად აქვს კლინიკური გამოვლინებები, შესაძლოა, ის გადმოგვეცა დედიდან, შესაძლოა, ან გამოიყენე უსაფრთხო საინექციო მასალა, ან გამოიყენე სხვისი საპარსი, ან გვქონდა ინფიცირებულ სისხლთან კონტაქტი. სავარაუდოდ, ვერასდროს გაიგებ, როდის დაინფიცირდი. თუკი არ ჩაიტარებ ტესტირებას, ვერ გაიგებ დიაგნოზს.

საქართველო, როგორც ცნობილია, დაავადების გავრცელების მხრივ მეორე ადგილზეა მსოფლიოში. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი უერთდებიან მსოფლიო კამპანიას მთავარი მესიჯებით: "შენ C", "ვიპოვოთ დაკარგული ათასობით ბენეფიციარი", "ჩაიტარე ტესტირება", "გაიგე შენი სტატუსი", "ჩაერთე მკურნალობაში". სკრინინგული კვლევით 1,5 მილიონ ადამიანს აქვს C ჰეპატიტი. პროგრამაში ჩართულია 58 ათასამდე ადამიანი, რაც შეადგენს დიაგნოსტირებულთა 78%-ს. 53 ათასმა, ანუ 93%-მა დაამთავრა მკურნალობა. დაახლოებით 98% განკურნებულია.

ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2015 წელს ამოქმედდა.

ნინო ნანიტაშვილი

თეა ბაბუნაშვილი

# სადაც ასფალტი არასდროს ყოფილა

ფარნავაზის ქუჩის 2622 მეტრიანი მონაკვეთი, სადაც ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა, ამიერიდან სრულად რეაბილიტირებული იქნება, 5 მმ-იანი ასფალტის ფენა დაიგება. გზის ეს მონაკვეთი ნაჩხეტაურს უერთდება. ამიტომ მისი დაგება მოსახლეობისთვის ძალიან ხელსაყრელი გახლდათ. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია "არქეოპოლისი" 413 ათას ლარად შეასრულებს. რეგიონალური განვითარების ფონდით დაფინანსებული ეს სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან ერთად იმერეთის გუბერნატორის მოადგილე ბესიკ გოფოძემ და რეგიონალური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა, ოთარ არევაძემ დაათვალიერეს.

მუნიციპალიტეტის მერი საუბარში აღნიშნავდა, რომ: "იმდენი ინფრასტრუქტურული პროექტი, დღეს რომ სრულდება სამტრედიაში, არასდროს განხორციელებულა. გასულ წლებთან მათი რიცხვის შედარებაც არ შეიძლება. მაგრამ ერთია მათი რაოდენობა და სხვაა შესრულების ხარისხი. იმისთვის, რომ ამ კუთხით რამე პრობლემა არ გაგვეპაროს, მიმდინარეობს სამუშაოების ხშირი მონიტორინგი. შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებით მათ მიმდინარეობას."

იგივე პათოსს იზიარებს გუბერნატორის მოადგილე ბესიკ გოფოძე და იმერეთის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრობს: "ახლა სამუშაოების აქტიური ფაზა მიმდინარეობს. იმერეთის რეგიონისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 270 მლნ ლარია გამოყოფილი. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფები, როგორც სამხარეო ადმინისტრაციიდან, ასევე სამინისტროდან და ადგილობრივი ხელისუფლებიდან. გარდა რგფ-ისა, სახელმწიფომ იმერეთს 40 მილიონი ლარი გამოუყო სკოლებისა და ამბულატორიების რეაბილიტაციისთვის. ახალ სასწავლო წელს იმერეთის 179 სკოლა სრულად რეაბილიტირებული შეხვდება. განახლდება და კაპიტალურად გარემონტდება 55 სამედიცინო ამბულატორია. სამუშაოების მიმდინარეობას აქტიურად ვამოწმებთ. იდეალური არაფერია, მაგრამ მთავარია, ყველა იმ დეფექტს ვასწორებთ, რაც მშენებლობისას შეიძლება წარმოიშვას. ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა და იგი პირნათლად უნდა შესრულდეს!"





ტექნიკის მუშაობას ჩრდილში თავმოყრილი ფარნავაზის ქუჩელებიც ადევნებდნენ თვალს და აღნიშნავდნენ, რომ ამ გზის მოწესრიგება, მართლაც, საშური საქმეა, რადგან აადვილებს გადაადგილებას და ორ დიდ უბანს ერთმანეთთან აკავშირებს.

# სამედიცინო ამბულატორიები მუნიციპალიტეტის 5 სოფელში აღდგება

თეა ბაბუნაშვილი

***სამედიცინო ამბულატორიების აღდგენა-რეაბილიტაციის ინიციატივას სახელმწიფოს შესაბამისი დაფინანსება მოჰყოლა და ქვეყნის მასშტაბით სოფლებში მათ მოწესრიგებას მიჰყო ხელი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად რამდენიმე სოფელში სწორედ ამბულატორიების აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დასათვალიერებლად გავიდა.***

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 103 ათასი ლარი სამტრედიის ხუთ სოფელში: გორმაღალში, ტოლებში, დიდ ჯიხაიშში, კულაშსა და საჯავახოში სამედიცინო ამბულატორიების კეთილმოწყობას მოხმარდება. სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტი საპროექტო ღირებულებას აფინანსებს. სამუშაოები პირდაპირი შესყიდვის წესით მიმდინარეობს და მშენებელ კომპანიებს შესრულების ხარისხზე მკაცრი კონტროლი უწესდებათ. თითოეული თემის ამბულატორიის სარეაბილიტაციოდ 26-დან 30 ათას ლარამდე იხარჯება, გამონაკლისი მხოლოდ საჯავახოა, სადაც მცირე სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი. მათი საერთო ღირებულება 3 ათას ლარს არ აღემატება.

გორმაღალში ჩასულებს თემის ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაოები კარგა ხნის დაწყებული დაგვხვდა. ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე რამდენიმე ოთახში განთავსებული სოფლის ამბულატორია განახლდება და მოწესრიგებული გარემო დახვდებათ პაციენტებს სამედიცინო ჩარევის საჭიროებისას. როგორც უბნის ექიმი თვალმაისა ამაღლობელი აღნიშნავს: "ჩვენი მოთხოვნა გაითვალისწინეს და მოვხვდით პროგრამაში, რომლითაც სამედიცინო ამბულატორიების აღდგენა-განახლება ხდება. მოწესრიგებული ინტერიერი, ბუნებრივია, კარგად მოქმედებს არა მხოლოდ პაციენტებზე. ამიერიდან გვექნება ყველა პირობა რომ მომსახურება გავაუმჯობესოთ. გამოიყოფა ცალკე ოთახი აცრებისთვის, ცალკე იქნება პაციენტების მისაღები. სამწუხაროდ, ისევე როგორც ყველგან, ჩვენს სოფელშიც ნაკლებია შობადობა და პაციენტთა ძირითადი ასაკი 60-ს მიღწეული და გადაცილებულია. ერთი სიტყვით, ძირითადად პენსიონერები არიან. ექთანი ადგილობრივი გვყავს და ყოველდღე აქ არის. მე, ექიმი კი, კვირაში სამჯერ ჩამოვდივარ, თუ საჭიროება მოითხოვს, რა თქმა უნდა, ყოველთვის აქ ვარ."

სამუშაოები, რომლებსაც ინდმეწარმე ვაჟა ტრაპაიძე პირდაპირი შესყიდვის წესით ასრულებს, 20 ათას 400 ლარის ღირებულებისაა. ისინი ვადების სრული დაცვით და ხარისხის გარანტიით ჩაბარდება დამკვეთს.

იგივე ორგანიზაცია, ინდმეწარმე ვაჟა ტრაპაიძე, პირდაპირი შეყიდვის წესით, 24ათას 400 ლარის მოცულობის სამუშაოებს ტოლების სამედიცინო ამბულატორიის რეაბილიტაციისთვისაც შეასრულებს.

ისევე როგორც გორმაღალში, აქაც რამდენიმე ოთახი მოწესრიგდება. რადგან სოფლის ექიმი ადგილზე არ დაგვხვდა, როგორც გაირკვა, სამი საათის შემდეგ იგი უბანში გადის პაციენტებთან, ამბულატორიის ექთანი, ლია ჭკუასელი გვესაუბრა, რომ: "ამბულატორია სოფლის 2300-მდე მკვიდრს ემსახურება. ექიმი დღის პირველ ნახევარში ამბულატორიაშია, შემდეგს კი, საჭიროების შემთხვევაში უბანზე გადის, დღესაც ასეთი შემთხვევაა. ნამდვილად საჭირო იყო სარემონტო სამუშაოების შესრულება. გვიხარია, რომ ამიერიდან მოწესრიგებულ გარემოში მოგვიწევს პაციენტების მიღება."

რაც შეეხება დიდი ჯიხაიშს, მასშტაბური სამუშაოებიც მიმდინარეობს და თავის დროზე ტრადიციებიც გაცილებით დიდი ჰქონია აქაურ სამედიცინო დაწესებულებას. საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს დიდ ჯიხაიშში საავადმყოფოს. ხის ძველი შენობა ახალი, კაპიტალური ნაგებობით, დაახლოებით, 30 წლის წინ შეიცვალა. იგი სოფელს საჩუქრად აუშენა აქაურმა მკვიდრმა ირაკლი ანდრიაძემ. სამედიცინო რეფორმის შემდეგ საავადმყოფოს ფუნქცია ჩამოერთვა ამ სამედიცინო დაწესებულებას. შესაბამისად, დაიხურა ის არაერთი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც ფუნქციონირებდა. ახლანდელი სამედიცინო ამბულატორია "ქსენონის" დირექტორი და ყოფილი საავადმყოფოს ხელმძღვანელი მაყვალა ბუცხრიკიძე საუბრობს იმაზე, რომ: "იმ თანხით, რაც ჩვენგან წასულ პაციენტზე სახელმწიფოს მიერ იხარჯება, ჩვენ ადგილზე შევძლებდით ექიმის შენარჩუნებას. დიდი სოფელია და სამედიცინო ჩარევის საჭიროებაც ხშირად არის. წლების წინ აქ ადგილზე კეთდებოდა ყველანაირი გამოკვლევა, გვქონდა რენტგენის, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა განყოფილებები. სასურველთან ერთად ხელსაყრელი იქნება მოსახლეობისთვის მომსახურების ძველი ფორმით აღდგენა. ქალაქში წასასვლელად სამგზავრო თანხაც არ აქვს ზოგჯერ ადამიანს. ჩვენ ადგილზე, სოფელში გვყავს საკმაოდ კვალიფიციური კადრი. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ სამტრედიაში კარგად ცნობილმა ბევრმა ექიმმა, სწორედ ჩვენი საავადმყოფოდან დაიწყო საკუთარი კარიერა. ამ სოფელს კარგი სამედიცინო ტრადიციები აქვს და მენანება, რომ მხოლოდ ამბულატორიის დონეზე დარჩა იგი. ჩვენს ამბულატორიაში დასაქმებული მედპერსონალის კვალიფიკაციაზე ხმამაღლა საუბარი დღესაც შეგვიძლია."







დიდი ჯიხაიშის სამედიცინო ამბულატორიაში სარემონტო სამუშაოების ღირებულება 31 ათასი ლარია. მათ შპს "პირამიდა MM" ასრულებს, რომლის დირექტორი მერაბ ვაშაკიძე ვადების დაცვით და მაღალი ხარისხით მათი შესრულების გარანტიას იძლევა.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ყველა ობიექტზე რამენაირი სამშენებლო ხარვეზის აღმოჩენისას მშენებელ კომპანიებს ისევ და ისევ უმეორებდა, რომ სამუშაო შეესრულებიათ ისე, როგორც საკუთარ სახლში: "ამბულატორიების რეაბილიტაციის და კიდევ სხვა პროექტები მუნიციპალიტეტში რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ერთობლივი დაფინანსებით მიმდინარეობს. ზოგიერთ ხარვეზზე შენიშვნები მივეცით მშენებელ კომპანიებს, რაც არ იყო მასშტაბური ხასიათის და ადვილად გამოსწორდება. სამუშაოების ტემპით კმაყოფილები ვართ. დასრულებულის სახით მათ კონტროლს მონიტორინგის სამსახურთან ერთად ინფრასტრუქტურის სამინისტრო და გუბერნიის შესაბამისი სამსახურები შეამოწმებენ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩვენი სურვილია და პირდაპირი მითითებაც გვაქვს იმისა, რომ მიმდინარე სამუშაოებში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოსახლეობაც ჩაერთოს, რადგან შემდეგ მათ უნდა მოიხმარონ ეს ყველაფერი."

ამ დათვალიერებიდან რამდენიმე დღეში დიდ ჯიხაიშში სამედიცინო ამბულატორიაში მიმდინარე სამუშაოები იმერეთის ახლად არჩეულმა გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემაც მოინახულა. სიმბოლური იყო, რომ მას მეგზურობა აქცენტით ქართულად მოსაუბრე ექიმმა, ოლგა პეტროვამ გაუწია. იგი უკვე 25 წელია დიდი ჯიხაიშლების სარატოველი რძალია და აქ ჩამოსვლის შემდეგ მას ყველა ვაშაკიძის გვარით იცნობს. სოფელი კი პატივს სცემს როგორც საუკეთესო ექიმს.

# დაპირისპირებას დანაშაული რომ არ მოჰყვეს

ნინო ნანიტაშვილი

"ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ, დამხვდება ჩემს ყანაში კიდევ პირუტყვი, ა, ნაჯახი და ამით გავუჩეხავ თავს! რას გვერჩიან, სიმწრით ვხნავთ და ვთესავთ. სიმინდი რომ მოვიწიოთ და ოჯახები გამოვკვებოთ, ამის საშუალებას არ გვაძლევენ". – სამტრედიელი თენგო სულაქველიძის გაღიზიანების მიზეზი უმეთვალყურეოდ გაშვებული პირუტყვია და შედეგი – განადგურებული ნათესი. თენგო სულაქველიძის მსგავსად მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ პატრონები შინაურ პირუტყვს საყანე ფართობებში შეგნებულად უშვებენ.

გულსაკლავად გამოიყურება რიონისპირა ჭალებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობი, სადაც წლების წინ გოჯი მიწა არ რჩებოდა დაუხნავ-დაუთესავი. მოსახლეობა ამას სხვადასხვა მიზეზით ხსნის, უმეტესობა ამბობს, რომ დაბალი სოციალური ფონი გლეხობას საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ აძლევს.

ვინც მოახერხა, კუთვნილი ფართობი დაეხნა და დაეთესა, უკეთეს სიტუაციაში ვერც ისინი აღმოჩნდნენ, რადგან უმეთვალყურეოდ დატოვებულმა პირუტყვმა ნათესი გაუნადგურა და გლეხობა წინასწარ შეაგუა იმას, რომ შემოდგომაზე მოსავალს ვერ მიიღებენ.

მაგული სულაქველიძეს საყანე ფართობი წელს პირუტყვმა მესამედ გადაუჭამა. სიმინდი რომ ჰქონოდა, ოჯახმა სოლიდური თანხა გაიღო, რაც, პრაქტიკულად, წყალში ჩაყრილია. ქალბატონ მაგულის 3-4 კილომეტრის გავლა უწევს ყოველდღიურად, ეზოებიდან უმეთვალყურეოდ გადმოსული პირუტყვისგან ყანა რომ დაიცვას. საკუთარ ტელეფონში დააფიქსირა კადრები, სადაც ნათლად ჩანს, ძროხები როგორ უნადგურებს ნათესს.

ბებია-ბაბუასთან სტუმრად თბილისიდან ჩამოსულ ილიას ეს დღეები იმის ნაცვლად, რომ თამაშსა და დასვენებაში გაეტარებინა, ყანაში უწევს სირბილი. ბიჭუნა თანატოლებთან ერთად ბაბუას სიმინდის ფართობიდან პირუტყვის გარეკვაში ეშველება.

სამტრედია თავის დროზე სიმინდის ბეღელად იწოდებოდა. წელს გვიან, გაზაფხულსა და ადრეულ ზაფხულში გვალვამ აგროვადების დარღვევა განაპირობა. თუმცა რაც არის დათესილი, გლეხობა მის შენარჩუნებასაც ვერ ახერხებს. პირუტყვისაგან განადგურებულ ფართობებს რომ უყურებს, წარმატებული ფერმერი, მიხეილ სულაქველიძე მოსახლეობის დამშევის რეალურ საშიშროებას ხედავს. აშინებს ის ფაქტიც, ადამიანების დაპირისპირებას დანაშაული არ მოჰყვეს. მიხეილ სულაქველიძე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ამ კუთხის გააქტიურებას მოითხოვს.



სამტრედიის მაცნე



# სკოლებში ინფრასტრუქტურა წესრიგდება



**თეა ბაბუნაშვილი**

ახალ სასწავლო წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 31 საჯარო სკოლა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განახლებებით შეხვდება. განათლების სამინისტროს მოთხოვნით რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ 860 ათას ლარს დახარჯავს მუნიციპალიტეტი სკოლებში სველი წერტილების მოსაწესრიგებლად. და არა მხოლოდ ამისთვის, აქცენტი სახურავების რეაბილიტაციაზეც არის აღებული.



ამბულატორიებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერმა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გორმაღლის, ტოლებისა და დიდი ჯიხაიშის სკოლებში მიმდინარე სამუშაოებიც მოინახულეს. გორმაღლის თემში ქვაყუდის არასრულ საჯარო სკოლას, ისევე როგორც ბევრგან სოფლის საჯარო სკოლებში, საპირფარეშო შენობიდან მოცილებით ჰქონდა. ამჯერად იგი სკოლის შენობას მიაშენეს და სრულად მოაწესრიგებენ. 28 ათას 900 ლარის ღირებულების სამუშაოს, რომელიც 26 აგვისტოს უნდა დასრულდეს, შპს "ლაშა" ასრულებს. მისმა დირექტორმა ანზორ ჩაჩუამ აღნიშნა, რომ იგი მას ვადაზე ადრე დაასრულებს.

გარდა ამისა, სველი წერტილები მოწესრიგდება გორმაღლის დაწყებით სკოლაში, რომელიც პირველი საგანმანათლებლო სასწავლებელი გახლდათ ამ სოფელში და ასაკით საუკუნეზე მეტი ხნისაა. მართალია, უკვე 35 წელია, ხის შენობიდან კაპიტალურ შენობაში ფუნქციონირებს, მაგრამ სველი წერტილების სრულ რეაბილიტაციას მაინც საჭიროებდა. შპს "ჯორჯიან კომპანი" მას 17 ათას ლარად ასრულებს. გარდა სველი წერტილების მოწესრიგებისა, შენობაში შეიყვანენ წყალს. მშენებელი ორგანიზაცია და მისი დირექტორი ვალერიან კაკულია, სპეციალისტების ყველა შენიშვნის გათვალისწინებით, ხარისხიანობის გარანტიას ამ შემთხვევაშიც იძლევიან.

თემის დეპუტატი ადგილობრივ საკრებულოში გრიგოლ ჩიგოგიძე და თემში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი შორენა ჯოჯუა აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად დემოგრაფიული პრობლემებისა, წელს დაწყებით სკოლას პირველკლასელები მაინც ჰყავს. მათი რიცხვი დიდი არ არის, სულ სამია, მაგრამ ჯგუფი სკოლაში მაინც გაიხსნება.



სველი წერტილები მოწესრიგდება დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის არასრულ საჯარო სკოლაშიც. სკოლის დირექტორი ციცინო ვაშაკიძე ხაზს უსვამს, რომ წლების მანძილზე მოუწესრიგებელი საპირფარეშოთი სარგებლობდა სკოლა. განათლების სამინისტროს რამდენჯერმე მიმართეს და გასული წლის ზაფხულში მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. შემდეგ თვითონ სამინისტრომ გამოუგზავნა მათ გამზადებული პროექტი. მისი შესრულება კი ცენტრალური დაფინანსებით ადგილობრივ ხელისუფლებას დაევალა. სამუშაოების დაწყების დღიდან მონიტორინგს უწევენ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები მშენებლებს. მართალია, მშენებლები არ ვართ, მაგრამ ჩვენს შენიშვნებსაც ითვალისწინებენ ისინი. სამუშაოებს შპს "პირამიდა MM" 34 ათას ლარად ასრულებს.

იგივე კომპანია მუშაობს დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლაშიც. აქ ძველი ხის ფანჯრები მეტალოპლასტმასით იცვლება. ამ ეტაპზე ფასადის 26 ფანჯარა შეიცვლება. სკოლის დირექტორი მანანა ხაზალია საუბრობს იმაზეც, რომ გასულ წელს საკუთარი ხარჯებით ეზოს ნახევარი შემორაგვეს. ცოტა ხანში დანაზოგი თანხით მეორე ნახევრის შემორაგვა დაიწყება. მან მუნიციპალიტეტის მერისგან პირობა მიიღო, რომ ადგილობრივი ბიუჯეტით დაუფინანსებდნენ სპორტული დარბაზის იატაკის სრულ განახლებას. გარდა ამისა, "ჩვენ ყველა სკოლაში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, პრიორიტეტად ავიღეთ სველი წერტილებისა და სახურავების მოწესრიგება. ეს სამუშაოები მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა დასრულდეს, რათა შემდგომ სხვა პრობლემებსა და კოსმეტიკურ რემონტს, შიდა ინტერიერსა და გარე ფასადებს მივხედოთ. ისე როგორც ამბულატორიების, სკოლების შემთხვევაშიც სამუშაოების კონტროლი და მონიტორინგი სამთავრობო დონეზე იქნება აყვანილი." – ამბობს ვალერიანე ფოცხვერია. მან იქვე აღნიშნა ისიც, რომ სოფლის პროგრამის დაფინანსებით დიდ ჯიხაიშსა და გორმაღალში გარე განათების დიდი ნაწილი მოწესრიგდა.

# არჩევნები დასრულდა...

ძნელი სანახავი როდია ჩვენი ქალაქის ქუჩებში, ბოძებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განთავსებული, სხვადასხვა დონის არჩევნებში გამარჯვებული თუ ხელმოცარული სუბიექტების სურათების ხილვა.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა ბოლოს ჩატარებული არჩევნებიდან, ყოველ შემთხვევაში იმდენი მაინც, სურათების ჩამოხსნა რომ მოგვესწრო, მაგრამ, რატომღაც, მსურველები არ ჩანან.

კარგ ტონად გვენიშნა ორი-სამი წლის უკან, ნაარჩევნებს, თვით საჯარო სამსახურების წარმომადგენლებმა, შპს-ებსა და ააიპ-ებში დასაქმებულებმა, ხელისუფლების მოწოდების საპასუხოდ, აქცია რომ ჩაატარეს და ქუჩები სურათებისაგან გაათავისუფლეს. მომდევნო წლებში კი...

გავიაროთ ქუჩებში, ნამდვილად არ გესიამოვნებათ ჩამოხეული ფოტოებისა და ზედ მინაწერი "გულიანი ლანძღვა-გინების" შემცველი წინადადებების ხილვა!

*ლევან გაბეჩავა*



# კვირიკობა წიაღუბანში

28 ივლისს წიაღუბანში კვირიკობა აღინიშნა. დღესასწაულზე ტრადიციულად თევზაძეთა გვარი შეიკრიბა, რომელთა მფარველ წმინდანებად ივლიტა და კვირიკეა მიჩნეული.

კვირიკობას წიაღუბნელები და ჩამოსული სტუმრები ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. 2011 წლიდან ზეიმმა მასშტაბური სახე მიიღო, ვინაიდან სწორედ ამ წელს საგვარეულო სასაფლაოს მიმდებარედ, ნაკალოევის მთაზე, საფუძველი ჩაეყარა ტაძრის მშენებლობას.



ხონი-სამტრედიის მიტროპოლიტის, მეუფე საბას ლოცვა-კურთხევით რვა წლის წინ გაიჭრა საძირკველი. ტაძრის მშენებლობას საინიციატივო ჯგუფი ხელმძღვანელობს. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით კლიმენტი და ოთარ თევზაძეებს. მოსკოვში მცხოვრები, წარმოშობით სამტრედიელი ბიზნესმენი კახა თევზაძე ტაძრის მთავარი შემომწირველია. თავიანთი ფინანსური წვლილი შეაქვთ თევზაძეებს. სურვილისა და შესაძლებლობის შესაბამისად, საგვარეულო ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე, მათ თანხა სისტემატურად შეაქვთ.



წიაღუბანში წმინდანების, ივლიტასა და კვირიკეს სახელობის მშენებარე ტაძარი 2019 წლის 28 ივლისის კვირიკობას დასკვენით ფაზაში შეხვდა. ძირითადი სამუშაოები თითქმის დასრულებულია. უახლოეს მომავალში თევზაძეები საგვარეულო ეკლესიის კურთხევას იზეიმებენ.

ვინაიდან ტაძარი ჯერ მოქმედი არ არის, სადღესასწაულო წირვა წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 28 ივლისს, ტარდება. ამ საპატიო მისიას სხვადასხვა წლებში სამტრედიაში მოღვაწე მღვდელმსახურები აღავლენდნენ. წელს ეს პატივი მატათას ხვდა წილად, რომელმაც წირვის დასრულების შემდეგ იქადაგა და თევზაძეთა გვარი დალოცა.

*ნინო ნანიტაშვილი*

# ქართული რეალობა

**ლევან გაბეჩავა**

**დედა და მამა თურქეთში წავიდნენ ჩაის საკრეფად _ მითხრა 12 წლის ნიამ და გული ამოატანა ამ სიტყვებს.**

***...მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,***
***თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!***

**დიდი ხნის წინ ბრძანა დავით გურამიშვილმა ეს მრავლისმთქმელი სიტყვები. ათწლეულები შეიმუსრნენ მას შემდეგ, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ ბევრი ვერაფერი ვისწავლეთ, ისევ გათითოკაცება, გათიშულობა ღრღნის საქართველოს. ეს კარგად უწყიან ჩვენმა მტრებმა და ძმას ძმის წინააღმდეგ გვამხედრებენ.**

სამწუხაროა, რომ ''ქართლის ჭირის'' ფილოსოფიური დასკვნები არ შემოიფარგლება ოდენ მეთვრამეტე საუკუნით.

მედიასაშუალებებიდან ალიონიდან დაისამდე გვესმის გაუთავებელი ბრალდებების დაუსრულებელი ნიაღვარი.

პარტია _ პარტიას, პოლიტიკოსი _ პოლიტიკოსს უშვერი, გაუგონარი სიტყვებით ''ამკობს''. არც ქალბატონებისადმი პატივისცემაა რიგ შემთხვევებში დაცული და ხშირადვე დავფიქრებულვართ, იყო თუ არა საჭირო ქალბატონების ჩართვა პოლიტიკაში?

მაინც რა უსაშველო გვჭირს ქართველებს. ჭიდაობის ფედერაციიდან დაწყებული, მწერალთა კავშირით საპატრიარქოთი, უზენაესი სასამართლოთი გაგრძელებული და ა. შ. ყველგან პრობლემებმა როგორ იჩინა თავი?

ჩვენის აზრით კარგზე კარგია ხელისუფლებამ ''დედაენა'' რომ დააბრუნა ქართულ სკოლებში, მაგრამ ეს ჩვენ ვფიქრობთ ასე თუ არა, კრიტიკოსები აქაც გამოჩნდნენ, უკუსვლა, ნაბიჯი უკან, ყოფილა ყოველივე?!

დააკვირდებოდით უთუოდ, (თუ არადა აწი მივაქციოთ ყურადღება) არც ერთი ქართული არხი, საინფორმაციო გადაცემებში არ საუბრობს შრომასა და მშრომელ კაცზე, შრომის სიკეთეზე. საინფორმაციო გადაცემები სასამართლო დარბაზს მოგვაგონებენ ხოლმე, სადაც უკვე გამოტანილ ან გამოსატან განაჩენებზე მსჯელობენ.

რა ბედნაა ჩვენთვის, ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდება რომელმა პოლიტიკოსმა თუ ექსპოლიტიკოსმა რამდენი მილიონი მიითვისა?

როცა ყველა ერთმანეთის თვალში ეძებს ბეწვს მაშინ, როცა საკუთარში ბოძი ვერ შეუმჩნევიათ?

როცა ღვარძლის, ბოღმის ნიაღვარი მოედინება ეკრანებიდან, გაზეთებიდან. რაც მთავარია, ამას ისმენს და იმეცნებს ახალგაზრდობა, რაც ქვეყნის მომავალსაც საფრთხეს უქმნის.

მოდას, უხეირო მოდას ავყევით ბოლო ხანს, დავივიწყეთ ქართული ტრადიციები და ხარბად, ანგარიშმიუცემლად დავეწაფეთ უცხოურს.

**''რაკი კაცი უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, _ ამას აღარ დავდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი, აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო, კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგვეღო განუსჯელად, აუწონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა რა, ჩვენსკენ გამორბოდა''...**

ხომ არაფერი გვენიშნა, დიდი ერისკაცის ილია ჭავჭავაძის ამ ნააზრევიდან?

არამც და არამც არ ვეწინააღმდეგებით მთავრობის ძალისხმევას კენკროვანი კულტურების (უეკლო მაყვალი, მოცვი...) მოყვანას რომ უკავშირდება, მაგრამ მთელი საქართველო რომ მოცვისა და მაყვლის ბაღებით დაიფაროს ზედმეტი იქნება ქართული ჩაის, სიმინდის, აბრეშუმის... წარმოების შემდეგ მიღებული დოვლათი?

ქართველები თურქეთში მიდიან ჩაის საკრეფად, ე.ი. თურქეთში ისე ჰყავის ჩაის მეურნეობა, რომ სხვა ქვეყნის მოსახლეობაც ხეირობს, ჩვენთან რა ხდება?

უნდა დასრულდეს ბრალდებები, გაუთავებელი ბრალდებები პოლიტიკოსთა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებსა და კიდევ და კიდევ მრავალთა შორის...

ამასობაში კი ქვეყანაში პრობლემების ოკეანეა.





უფრო მეტად უნდა იქნას დაცული დასაქმებულთა უფლებები. სხვა თუ არა, დავფიქრდეთ, რამდენი ადამიანი დაიღუპა ამ დღეებში შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობისა და გაუფრთხილებლობის გამო.

უფრო მეტი სამუშაო უნდა შეიქმნას ქვეყანაში, რათა დაიწყოს ქვეყნის გარეთ სამუშაოდ წასულთა დაბრუნების შეუქცევადი პროცესი.

ხალხს მომავლის პერსპექტივის იმედი უნდა გაუჩნდეს.

მუქი სათვალეები მოვიხსნათ და შეულამაზებლად შევხედოთ დღევანდელ ქართულ რეალობას.

# რას დავუტოვებთ შთამომავლობას?!

გაზეთ ''საქართველოს რესპუბლიკის'' 2013 წლის 26 ივნისის ნომერში დაიბეჭდა პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის წერილი: ხომ არ გადაწყვიტა ბიძინა ივანიშვილმა ''უმადური ქართველების'' დასჯა ხელისუფლების ''ნაციონალებისათვის'' დაბრუნებით? ''რუსული,'' ''ნაციონალური'' თუ ამერიკული სცენარი''.

წერილმა უნებლიედ წარმოშვა კითხვა: რას დავუტოვებთ შთამომავლობას?! საქართველოში დღეს, 7 ძალა დომინირებს: მთავრობა, პრეზიდენტი, პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ტელევიზია, ''ქართული ოცნება'', საპატრიარქო.

მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ის მწყემსმთავარია, რომელიც ქვეყანას რყევებისაგან იცავს, დღეგრძელი იყოს ჩვენი კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე! მოსახლეობა ყოველივეს მადლიერებით აღიქვამს.

მთავრობა _ ის ძალაა, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობას უნდა ეწეოდეს. როგორ გამოსდის, სხვა საკითხია. მთავრობაში გამორჩეული პიროვნებაა ბატონი სოზარ სუბარი თავისი განვლილი გზით.

პარლამენტი _ წარმოდგენილია უმრავლესობით და უმცირესობით, სწორედ ''ნაცმოძრაობის'' უმცირესობა ებრძვის უმრავლესობას.

არასამთავრობოები _ გაურკვეველია, რისთვის ფინანსდებიან, მთავრობას დარტყმებს აყენებენ, ნაცვლად იმისა, რომ დაკავებული იყვნენ ჯანსაღი საქმიანობით. ბედის ირონიაა _ ეკა გიგაური თავისი წარსულით.

ტელევიზია _ გაჯერებულია ქართული ზნეობისათვის მიუღებელი გადაცემებით (შოუების, სერიალების, სკანდალური გადაცემების სახით), რაც ერის დეგრადაციას ემსახურება.

''ნაცმოძრაობა'' და ე.წ. ''ევროპული საქართველო'' მიუხედავად კოჰაბიტაციისა (რაც ფუჭი გამოდგა), გესლიან ძალად ჩამოყალიბდა. ქვეყანას წარსულში ექაჩება თავიანთი პირადი ინტერესის გამო, ქვეყნის ინტერესი კი არ ადარდებთ.

''ევროპული საქართველოს'' პარტიის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს არ შეიძლება არ გავუხსენოთ 2,5 მილიონი როგორ გადარიცხა პირადად შვეიცარიის ბანკში. როცა გაუგეს, თქვა, ჩემი სიმამრის იყოო. სიმამრს ამდენი თანხა არ აღმოაჩნდა. ბაქრაძისთვის კი პასუხი არ მოუთხოვიათ. მათ კარგად ესადაგება. სულხან-საბა ორბელიანის იგავი ''კუ და მორიელი'' დროა, საზოგადოება გესლისაგან განიბანოს. ხელისუფლება მოვალეა, ეს ძალა ქვეყნის აქტიური სივრციდან გაიყვანოს და მთელი ძალისხმევა ქვეყნის აღმშენებლობას მოახმაროს.

ქვეყნის პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა კარგად დაიწყო და დარწმუნებული ვართ, შეუპოვრად იღვაწებს ჩვენი ქვეყნის ასაღორძინებლად.

დღეს ბიძინა ივანიშვილი დილემის წინაშე დგას: გააკეთოს სწორი არჩევანი!

რას დაუტოვებს ჩვენი თაობა მემკვიდრეობად ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს?! ქვეყანა მეტ რყევებს ვერ გაუძლებს. სამშობლო სერიოზულ განსაცდელშია. ვფიქრობ და მინდა მჯეროდეს, ბატონი ბიძინა სამშობლოს განსაცდელში არ მიატოვებს.

აქვე მოკლედ ისტორიულ ფაქტებსაც გავიხსენებ: დიდი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც მესიის მახვილს უწოდებდნენ, ცალკეული სამთავროების კინკლაობას რომ ვერ აუვიდა, 40 ათასი ყივჩაღი ჩამოასახლა, პირველად ძელზე გასმა შემოიღო და ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. 5 წელი მოანდომა რუის-ურბნისის კრების მომზადებას, საქართველო გააერთიანა, მანვე დაწერა ''გალობანი სინანულისანი''. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ერის სულიერი მამა _ ილია ჭავჭავაძე ოდეს პეტერბურგიდან ბრუნდებოდა საქართველოში, მოახლოებულ ლარსის საზღვართან დაფიქრებული თავის თავს ეკითხებოდა: შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რას იქმ?

დიდმა ილიამ თავისი სიტყვით, თავისი გულისტკივილით გვითხრა: ''ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო''. დღეს კი ერთნი პროამერიკულობას იჩემებენ, მეორენი _ ევროპელობას, მესამენი რუსეთისკენ იხრებიან.

საქართველომ დიდი სიძნელეები გამოიარა, მამულის სიყვარულით, ენის სიწმინდით, რწმენის სიმტკიცით.

საქართველო არ გადაშენებულა და მომავალშიც არ გადაშენდება!

მამულიშვილნო, საქართველოს, ქვეყნის საქმე ვაკეთოთ!

***გია ბოჭორიშვილი***

**P.S. შეიცან თავი შენი!**
**გ. ბ.**

# ''საარჩევნო განვითარების სკოლა _ 2019'' დასრულდა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 10 დღის განმავლობაში ''ცესკოს'' ორგანიზებით მიმდინარეობდა ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი ოცდასამმა ახალგაზრდამ გამოთქვა. აქედან სისტემატურად 19 იღრმავებდა ცოდნას საარჩევნო საკითხებში.

10-დღიანი სასწავლო კურსი ''საარჩევნო განვითარების სკოლაში'' 18-24 წლის ახალგაზრდებმა გაიარეს. სასწავლო პროგრამა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ასპექტები, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, ინფორმაცია დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების, საქართველოში არსებული არჩევითი ორგანოების, არჩევნებში ჩართული მხარეების, გენდერული თანასწორობის, არჩევნების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ. ტრენინგებს ახალგაზრდებისთვის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა იმნაძე და კომისიის წევრი სოფიო დარჯანია ატარებდნენ.

''საარჩევნო სკოლა _ 2019''-ის დახურვის დღეს ახალგაზრდებმა მიღებული ცოდნის საფუძველზე ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები, თავად მოირგეს კომისიის წევრების, მედიის წამომადგენლების, დამკვირვებლებისა და ამომრჩეველთა როლები.

ტრენერებმა ნანა იმნაძემ და სოფიო დარჯანიამ ''საარჩევნო სკოლის'' მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები და ''ცესკოს'' ლოგოიანი სხვადასხვა ტიპის საჩუქრები გადასცეს.

***ნინო ნანიტაშვილი***



# შარშანდელთან შედარებით კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევები შემცირდა

ქეთევან ჭელიძე

***"ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში ინფექციონისტ მანანა შენგელიასთან იმ დროს მივედით, როცა ის რეანიმაციულ განყოფილებაში პაციენტის მდგომარეობას ამოწმებდა. გოგონა საზამთროთი მოიწამლა და საჭირო გახდა, მისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.***

***ზაფხულის სეზონისთვის მსგავსი ინტოქსიკაციები დამახასიათებელია, თუმცა, მიმდინარე წელს, როგორც ქალბატონი მანანა ამბობს, მოწამვლის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო. ამას თავისი მიზეზები აქვს. მასთან ინტერვიუც სწორედ ამ მიზეზებზე საუბრით დავიწყეთ.***

**_ ცხელი ზაფხული, ჩვეულებრივ, სეზონური დაავადებების გააქტიურებას უწყობს ხელს და თქვენ რით ხსნით მომართვიანობის შემცირებას?**

_ შესაძლებელია, ეს იმიტომ, რომ დაბალია ტემპერატურა. დასასვენებლად ნაკლებად გადიან და ნაკლებია მომართვიანობაც. საერთოდ, ივლისი და აგვისტო სეზონური დაავადებებისათვის პიკია. ზღვა და იქ არსებული სანიტარიული მდგომარეობა ქმნის რისკებს. სტატისტიკურად შარშანდელთან შედარებით შემცირდა კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევები. თუ გასული წლის ამ პერიოდისთვის ასეულობით ადამიანმა მოგვმართა, ამჯერად, მათი რიცხვი რამდენიმე ათეულია.

მოწამვლას ორგანიზმში პათოგენების მოხვედრა იწვევს. შეიძლება, რამდენიმე ადამიანმა მიიღოს ერთი და იგივე პროდუქტი, მაგრამ სხვადასხვა ოდენობით. მეტ მოცულობასთან ერთად მეტი მიკრობიც მოხვდება ორგანიზმში და მიუახლოვდება დასასნებოვნებელ დოზას. მცირედი ულუფის მიღების შემთხვევაში, შეიძლება, უმნიშვნელოდ გამომჟღავნდეს სიმპტომები. გულისრევის დროს სოდიანი წყლის დალევამაც კი მოუხსნას ადამიანს უსიამოვნო შეგრძნებები.



**_ ძირითადად, რა იწვევს მოწამვლას?**

_ როდესაც ჩვენთან შემოდის ავადმყოფი, ხდება ფაქტების შეკრება-ეპიდამნეზი, რას შეეძლო გამოეწვია ინტოქსიკაცია, ზოგჯერ პაციენტი თვითონაც ვერ ასახელებს საკვებს, რითაც მოიწამლა.

შეიძლება, ეს დაუბანელი ხელის მიზეზითაც იყოს გამოწვეული. ბევრიც ასახელებს, რადგან ინტოქსიკაციის დროს ზიზღი უჩნდებათ იმ საკვების მიმართ, რომელიც მიიღეს. განმეორებით მის მიღებას აღარ მოინდომებენ. ეს დამახასიათებელია კვებითი ინტოქსიკაციისთვის, რაც ძალიან კარგი ინდიკატორია.

**_ რომელი დაავადება დომინირებს ზაფხულის პერიოდისთვის?**

_ ნაწლავური ინფექციები ჭარბობს. წელს არა, მაგრამ გასულ წლებში იყო კანის დაინფიცირების შემთხვევებიც. ასევე, ზღვიდან ჩამოსულებს დიარეა უდგინდებოდათ. იგი ცხელებით მიმდინარეობდა. ზღვის წყალი სტერილური არ არის, დაბინძურებული ხელით კი იქვე ჩამოტარებული საკვები მიირთვა. თუ ხელი არ დაიბანა, სათანადოდ არ დაამუშავა, მოწამვლის რისკი დიდია.

მოწამვლას იწვევს აგრეთვე, ცუდად შენახული პროდუქტები. თუ სხვა სეზონზე 2-3 დღე ინახება მალფუჭებადი პროდუქტები, ზაფხულში ერთ დღეში ქმნის ის რისკფაქტორს. ასევე, საშიშია დიდი რაოდენობით სასმელი წყლის მოხმარება, რადგან ამ შემთხვევაში მიკრობიც დიდი რაოდენობით ხვდება ორგანიზმში. თუ წყალი არასაიმედოა, სტერილური არ არის, 2-3 ლიტრის მიღების შემთხვევაში დასნებოვნების საფრთხე მეტია.

**_ პლასტმასის ჭურჭელში მოთავსებული წყლის საიმედოობაზე რას გვეტყოდით, რომელიც ყველგან იყიდება? ითქვა, რომ ზოგიერთი მათგანის ფალსიფიცირება ხდება.**

_მოწამვლის შემთხვევაში ეჭვი არასოდეს მიგვიტანია, რომ ასეთი წყლის შედეგად მოხდა დაინფიცირება. ჩვენ მას სასმელად ჩვილ ბავშვებშიც ვიყენებთ, საკვების მოსამზადებლადაც.

***_მკურნალობის პროცესში, შეიძლება თუ არა, მოხდეს დაავადების გართულება?***

_ მკურნალობის დროს შესაძლებელია, ავადმყოფი ტოქსიკურ შოკში ჩავარდეს. სიკვდილიანობა კი ინტოქსიკაციასთან დაკავშირებით არასდროს ყოფილა. რომ გითხრათ, ჩვენთან მძიმე პაციენტები მოდიან, არა. ისინი, ვინც ბინის პირობებში ოჯახის ექიმის რეკომენდაციითაც ვერ მიიღეს სასურველი შედეგი, დროში გახანგრძლივებას და დაავადების პროგრესირებას ურჩევნიათ, ჩვენ მოგვმართონ. არის ქიმიური ინტოქსიკაციების შემთხვევებიც.

**_ იწვევს თუ არა მოწამვლა ადამიანის ორგანიზმში სხვა დაავადების გააქტიურებას?**

_ გააჩნია, რა ბაზისური დაავადების მატარებელია პაციენტი. შეიძლება ჰქონდეს ნივთიერებათა ცვლის მოშლა, შაქრიანი დიაბეტი და დაირღვეს ნახშირწყლოვანი, ცილოვანი ცვლა, მოხდეს გენერალიზაცია, მიკრობი გავიდეს სხვა სისტემაში და დაავადების გართულება გამოიწვიოს.

ინტოქსიკაცია მწვავე ფორმაა, რომლის კუპირებასაც დროულად ვახდენთ, მაგრამ ნაწლავური ინფექციის დროს, სამწუხაროდ, კვლევებისთვის სტაციონარში ვეღარ ვაწვენთ, რადგან არ გვაქვს ინფექციური საწოლები. ვაძლევთ რეკომენდაციას და ქუთაისში გადავამისამართებთ.

**_ როგორ ავირიდოთ თავიდან მოწამვლა?**

_ მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ჰიგიენური წესები. უპირველესია, დღის მანძილზე რამდენჯერმე დავიბანოთ ხელები. ასევე საჭიროა საკვებისთვის დავიცვათ ტემპერატურული რეჟიმი. საჭიროების შემთხვევაში გადავადუღოთ კიდეც. აუცილებელია, აგრეთვე წყალი, რომელსაც მოვიხმართ, კეთილსაიმედო იყოს.



# გთხოვთ, ჩვენი უფლებებიც დაიცვათ!

ლევან გაბეჩავა

ამჯერად ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს მივმართავთ, არა მარტო სამტრედიაში, იმერეთის მთავარი ქალაქის, ქუთაისის ქუჩებში, ცენტრალურ ადგილებში რომ უპრობლემოდ დასეირნობენ და...

და არცთუ იშვიათად ხალხს თავსატეხს უჩენენ.

აშკარად კარგია, როგორც წინათ, ალიონზე, ახლა რომ არ ხდება მათი განადგურება პირდაპირ ქუჩებში თოფით, არც იმაზე ვდავობთ, ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები რომ მომრავლდნენ და სანქციებიც რომ დააწესეს მათ მიმართ, ვინც ცხოველებს არაკეთილგანწყობით მოეკიდება, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ჩვენი ოთხფეხა მეგობრების უფლებები მეტადაა დაცული, ვიდრე ჩვენი, ხალხის.

მაგალითად, ხშირად მგზავრთა მოსაცდელებში და მათ გარშემო იმდენი ძაღლი წევს, ადამიანის ადგილი არაა, თუ არის და მიუხედავად ძაღლისა და ადამიანის უძველესი მეგობრობისა, მაინც არაა სასიამოვნო და უსაფრთხო, უცხო ძაღლების გარემოცვაში ჯდომა თუ დგომა და გაჩერება.

მომრავლდნენ ისეთი ადამიანებიც მაწანწალა ძაღლებს რომ კვებავენ. ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობთ, რომ ამაში მათი ჰუმანური ბუნება ჩანს, მაგრამ კარგი იქნება, ძაღლებს ხალხმრავალი ადგილებიდან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან რამდენადმე მაინც მოშორებით თუ გამოკვებავენ, რათა ძაღლებმა პრობლემები არ შეუქმნან ხალხს.

ბაღები, სკვერები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები, სადარბაზოები, ცენტრალური ქუჩები... ერთი სიტყვით, სად არ გხვდებით, სად არ გხედავთ, ჩვენო ოთხფეხა მეგობრებო. გხედავთ და გთხოვთ, ნუ შემოგვიღრენთ, ნუ იძალადებთ ჩვენზე, ჩვენ (ძაღლი და ადამიანი) ხომ მეგობრები ვართ ოდითგანვე.

დაბოლოს, რაკიღა დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს ამ თხოვნას ძაღლები არ, ვერ წაიკითხავენ, ჩვენც იმდენად ავიმაღლეთ ხმა, რომ უფრო დაიხვეწოს კანონი ადამიანებს ცხოველთა უფლებების დაცვას რომ ავალდებულებს. ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ძაღლების უფლებების დაცვა არ გამოგვივიდეს უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებისა!

# ერთად დავიცვათ საქართველო!

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ტერიტორიული რეზერვის პროგრამას

პროგრამაში მონაწილეობა ქალაქ თბილისის, მცხეთისა და იმერეთის რეგიონებში მცხოვრებ 18-დან 50-წლამდე პირს, მათ შორის 18-დან 22 წლის ჩათვლით სტუდენტებს შეეძლებათ.

ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 5 წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ. მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20%-ს შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ხელფასს სრულად აიღებენ (რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 2700 ლარია).

მიღების შემთხვევაში პირები გაივლიან სამხედრო-სამედიცინო შემოწმებას, რაც ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ტესტირებასა და გასაუბრებას ითვალისწინებს. ტერიტორიულ რეზერვში მისაღები კონტინგენტის 20% სტუდენტები იქნებიან, ხოლო სავალდებულო და/ან საკონტრაქტო სამსახურგავლილი პირებიდან პრიორიტეტი ენიჭებათ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის ან სამხედრო და საბრძოლო გამოცდილების ან შესაბამისი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მქონე პირებს.

რეზერვში სამსახურის დროს მოქალაქეები სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი დაცვით. სტუდენტებს სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის შემდეგ სამხედრო-სავალდებულო სამსახური გავლილად ჩაეთვლებათ.

განაცხადის ჩაბარებისას მოქალაქემ უნდა იქონიოს:

- პირადობის მოწმობა (დედანი ან ასლი);
- ფოტოსურათი 3X4-ზე 2 ცალი;
- სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხა კანდიდატს მიეწოდება მიღების პროცედურების გავლის მსვლელობისას.

საბუთები მიიღება 2019 წლის 1-ლი ივლისიდან 1-ლი სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, 10:00 საათიდან _ 16:00 საათამდე მე-3 ქვეით ბრიგადაში (მის.: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, №1 შესახვევი, ტ.: (+995 577) 19 73 05).

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
(+995 32) 2 91 04 21; (+99532) 2 75 26 44.



# 08.08.08.
## 11 წელი აგვისტოს ომიდან



ათასჯერ ომგამოვლილ ჩვენ ერს 2008 წლის 8 აგვისტოს კვლავ ახალი "ომი შემოგვთავაზა" ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა. ისევ შავი ნისლი ჩამოწვა საქართველოში, ისევ რუსეთი...

ომი რისი ომია და აქაც ბევრი სისხლი დაიღვარა.

დაიღუპნენ საჯიშე ქართველები.

შავი ჩაიცვეს დედებმა.

დაობლდნენ პაწია ქართველები. კვლავ გმირობის არნახული მაგალითი უჩვენეს მომხდურთ ქართველმა მეომრებმა, რომელთა გმირობამაც რუსის გენერალს პატივისცემის ნიშნად ქუდი მოახდევინა. ამ ომში იშვნენ გმირებად შინდისის გმირები, თუმცა ყველა გმირია, თითოეულის სახელი უკვდავია ჩვენთვის, ქართველებისთვის: ლაშა თევზაძე, მარლენ ბარამია, ლევან კოხრეიძე, აველიკ ლომიძე, მიშიკო დვალიშვილი... ბევრნი, ბევრნი არიან ისინი.

8 აგვისტოს მოახლოება ყოველთვის აღძრავს სევდანარევი სიამაყის გრძნობას და კიდევ ერთხელ, უფრო მძაფრად გვახსენებს თავს პირშეუკრავი ჭრილობა, სამშობლოს ერთიანობისა და ერის კეთილდღეობისათვის ზვარაკად შეწირული ბიჭების დაღუპვით რომაა გამოწვეული!

სამასი არაგველი!

ცხრა ძმა ხერხეულიძე!

მარაბდელები!

კრწანისელები!

...

აგვისტოს ომის გმირები!

ვერავინ და ვერაფერი აღუდგება წინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის ხელშეუხებლობას.

უეჭველად იქნება ერთიანი, ძლიერი, ამაყი და აღორძინებული ჩვენი ქვეყანა!

სანთლებად აინთებს საქართველო სამშობლოს ერთიანობისათვის გმირულად დაცემულთა ნათელ ხსოვნას.

**ლევან გაბეჩავა**

# 2008 წლის აგვისტო, შემდეგ... და მანამდე

2008 წლის 8 აგვისტოს სისხლიანმა დღეებმა ნათლად დამარწმუნა, რომ პოსტკომუნისტური კრემლი აშკარად ემზადება მსოფლიოში პირველობის მოსაპოვებლად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საპაექროდ, ჩრდილოატლანტიკური (ნატოს) ალიანსის სამტროდ რუსეთს დიდი მადა აქვს, მას დღესაც ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირი დროებითაა დაშლილი. ემიგრაციაშია, გერმანიაშია წასული კარლ მარქსთან და მალე დაბრუნდება. ფუჭია მოლოდინი, ყოფილო ამხანაგებო და კოლეგებო! უკანასკნელი კომუნისტური ციტადელი, კუბაც კი დაეცა. კრემლის მესვეურნი დღეს ურთიერთგადაბრალების რეჟიმში ცხოვრობთ, გვიმტკიცებთ, ომი 2008 წლის 7 აგვისტოს სააკაშვილის გუნდმა დაიწყოო. თუნდაც ასე ყოფილიყო, ჩვენ ხომ არ წავსულვართ ჩვენი მცირე ჯარებით სალაშქროდ. ქართველებზე დაგეშილი არმია ეს მერამდენედ გამოგვიგზავნეს! ამჯერად გენერალ ხრულოვის მეთაურობით და როგორც 1989 წლის 9 აპრილს ამჟამადაც იმ საბედისწერო როკის გვირაბით.

ყველა დროს თავისი გმირები ჰყავს, ჩვენს დროსაც "ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის" ტყვიითა და ცეცხლით! თვალებზე ცრემლი მოგორავს, ჩვენი დაღუპული ჯარისკაცები, სამშობლოს ერთგული მცველები, ჩვენი დები და ძმები!

პუტინმა თავისი საკუთარი რუსეთი შექმნა, ვისაც ის მოსწონს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ჩვენ თავი დაგვანებონ. ქართველებმა უკეთ ვიცით, როგორ მოვაწყოთ საკუთარი ქვეყნის მომავალი, ჩვენი ქართული ეკონომიკა, კულტურა ქვეყნის მომწყობ მოქალაქეებს მავანი "პუტინელები" ხელისუფლებაში თავს ლაღად გრძნობენ.

რუსეთი ხელისგაწვდენაზეა, მაგრამ მასთან ურთიერთობაში ბევრი პრობლემა არსებობს. ბრალი მას მიუძღვის, ვისაც ხელში მართვის სადავეები უპყრია, ვინც მესაჭეა.

აზიის კავშირში ნუ გვეპატიჟებიან უუფლებო პირობებით, სხვა მორჩილი რესპუბლიკების მსგავსად. გვიმტკიცებენ ჩვეული დემაგოგიით, ეს ისევ თქვენთვისაა კარგი, თუ არადა, დაისჯებით, ააფეთქებთ, ნატოს კარი დაივიწყეთ, ეს ჩვენს წინააღმდეგააო, ლამის რუპორით გაჰყვირის რუსეთის დუმის ტრიბუნაზე ჟირინოვსკი.

დღეს, სამწუხაროდ, არარუსებიც რუსეთის იმპერიულ ზრახვებს ემსახურებიან. დაე, ემსახურონ რა ჩვენი საქმეა, საქართველოს შიდა საქმეებში ნუ ერევიან. ზოგჯერ ვფიქრობ, რუსული შოვინიზმი რა არის, უარესი ურდოებისთვის გაგვიძლია. მაგრამ ეს იყო წარსულში, დღეს მეგობარი გვჭირდება და არა მარტო ეკონომიკური პარტნიორი.

საბჭოთა კავშირი ხომ ეკონომიკური "მყვლეფავი" იყო. ყველას ამუშავებდნენ, იაფად მიჰქონდათ რუსეთის ბაზარზე, დიდ დახლებზე გასაყიდად. მე შენ გეტყვი, დაფასება იციან, ფიზიკურად გადაგარჩინეთო, გაჰყვირიან. რუსეთში დემოკრატიის დეფიციტია, რუსეთი ოკუპანტია. ამერიკა იქნებ ნაკლებად გვიცნობს, მაგრამ რუსეთთან "სამეგობროდ" ნამდვილად ვეცოდებით. უცხოელები უკეთ ცდილობენ, ჩასწვდნენ ჩვენს კულტურას, მოწადინებულნი არიან მათგან განსხვავებით, ქართულიც რომ ისწავლონ. აცადეთ სკეპტიკოსებო, რუსეთის წმინდა პილიგრიმებო, აღდგომა და ხვალეო. ვნახოთ, წინასწარ თვალებს ნუ დავითხრით, თხუნელებივით, მაგრამ ვაი, რომ ბუნებამ ჩვენივე არაკვალიფიცირებულობის გამო, სამწუხაროდ, წაგვართვა სიმართლის "ხედვის თვალი".

2008 წლის აგვისტოს შემდეგ გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილე აღნიშნეს. გაიხსენეს, რომ ამ ძველი იურიდიულად უძლეველ დოკუმენტში თითქოსდა მარადიულ მფარველობაზეა ლაპარაკი, რას იზამ, ასეთი იყო მეფეთა დრო, რომელიც სოციალისტურმა რევოლუციამ საბოლოოდ გაასწორა. სტალინის მეთაურობით. იმასაც გვსაყვედურობენ, მეორე ბელადი მაინცდამაინც საქართველოდან რატომ იყოო. დიახ, ასეთი ძმობა იცის რუსეთმა. იქ ხომ შოვინიზმი "ცვეტშია". ლენინიც ხომ განრისხებული წერდა: "კბილებით დავგლეჯ ველიკორუსულ შოვინიზმსო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო. თავადაც მისი მსხვერპლი გახდა. მეფეთა რუსეთი ხომ უსამართლო იყო, რაღაცით ანალოგიური დღეს პუტინის რუსეთია, ნიკოლოზ I-მა ვინმე ცნობილ გერმანელ მოაზროვნეს და გეოგრაფს, მომზენს, რუსეთის ვრცელი კარტოგრაფიული რუკა შეადგენინა, სადაც აღნიშნული იქნა, რომ თბილისი, ბაქო და ერევანი სამხრეთ რუსეთად იწოდებიან და სამუდამოდ რუსეთის მეფეთა (რომანოვების) მფარველი კალთის ქვეშ იქნებიან უშიშრადო, როცა მათ სპარსეთი და თურქეთი ამ ცოტა ხნის წინ ჩასაყლაპავად ემუქრებოდაო. ისტორიის უზურპაცია ამაზე მეტი გაგონილა?

კავკასია მათთვის კრემლის გარე ეზოა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიხმარონ, უზურპატორი ნაპოლეონიც, როცა რუსეთს განადგურებით ემუქრებოდა, რუსეთი მარტო იბრძოდა ძლიერი მტრის პირისპირ. რა დღე დაადგა ვიცით, ინგლისი და ავსტრია რომ არ მიშველებოდა და ჯიუტი იმპერატორი კუნძულ ელბაზე არ გადაესახლებინათ სამუდამოდ. საფრანგეთს დაენანა ნაპოლეონი და ასე მოითხოვა, რადგან ფრანგი ხალხი ძალიან უყვარდა და აღმერთებდა!

პუტინის ე. წ. ნარატივებს აღსრულება არ უწერია. წმინდა ილია მართალს უყვარდა გამოთქმა: "სანთელ-საკმეველი თავის გზას გაიგნებსო". ვნახოთ, ვიბრძოლოთ, ვეცადოთ, ისტორია დღეს თავისი მართალი გზით წავა, დღეს ქვეყანას ჩალით ვერ გადახურავ, ეყო ევროპას და საქართველოს რუსული ამბიციები, თავის დროზე სუვოროვის ლაშქრობებს ევროპის ალპებში პირუკუ ნაპოლეონის ლაშქრობა მოჰყვა შედეგად. ალხანას თავისი ჩალხანაო, ქმედებას ახლავს უკუქმედება. თანაც თანაბარი ძალების პირობებში, მით უფრო მძლავრია უკუქმედება. მშვიდობით, რუსეთო. დღეს ან ხვალ ვერ ვიქნებით თქვენი იდეების გამზიარებელი და მეგობარი. ერთმა გავრილოვმა მთელი საქართველო გამოაფხიზლა და გააერთიანა, ანდაზა: ზოგი ჭირიც მარგებელიაო, სიმართლეა, ამ გაერთიანებამ რუსეთის ერთპიროვნული მბრძანებელიც კი შეაშფოთა, ერთი პირობა, ერთი ტელეგამოსვლა პასუხის პასუხი რაც კი შეეძლო "ჰუმანისტური" მოამზადა. ახლა არ გვცალია, ბატონო პუტინ, ახლა ნატოს კარზე ვაკაკუნებთ, ვინძლო მალე გაგვიღონ, ამ მოვლენებმა ერთბაშად ახალი კარი გაგვიღო ისტორიისა, როგორც მეზობლები ძველ პრინციპებს არ ვუღალატებთ, ისტორიას, წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას არ ვივიწყებთ, მაგრამ ახალს კი ვქმნით ევროპასთან ერთად, რაც შეგვიძლია და თავისუფლების სადარაჯოზეც ფხიზლად ვდგავართ.

**მერაბ ჩაჩავა**

# პროფესორი გვირჩევს

# საშური საქმე

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ბატონი ვაჟა თვალავაძე ხშირად სტუმრობს სამტრედიას და დედაქალაქში ისე არ გაემგზავრება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია და იქ დასაქმებულნი არ მოინახულოს, არ გაგვამხნევოს, არ შეგვაქოს, საოცრად მოკრძალებულად, რჩევებსაც გვაძლევს. ვიტყვი ხმამაღლა, ღვაწლმოსილი პროფესორის კონსულტაციები ყოველთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია, ამდენად, შედეგიც დადებითი მოაქვს. სწორედ ეს გარემოება გავითვალისწინეთ და ამჟამად იმ მოსაზრებებსა და რჩევებს ვთავაზობთ მკითხველს, პროფესორმა თვალავაძემ "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში რომ დააფიქსირა, საკითხი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მის შემდგომ ფუნქციონირებას უკავშირდება.***

"მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დიდი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მისია აკისრია, ეს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას, ხელისუფლების მესვეურთ, ამიტომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში არსებობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. წლების წინ სამტრედიაშიც გადაწყდა მუზეუმის დაარსება, რასაც საყოველთაო მოწონება მოჰყვა. შესრულდა გარკვეული სამუშაოები, გამოიყო ოთახები, დაიწყო ექსპონატების მოძიება, დამტკიცდა საშტატო ერთეული (ამჟამად მუზეუმს ხუთი შტატიანი თანამშრომელი ჰყავს. ვ.თ.) მუზეუმი რომ სრულად ასრულებდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო მისიას, აუცილებელია მუზეუმში შესასვლელად იყიდებოდეს ბილეთები. რაკიღა სამუზეუმო ექსპონატები "შიდა მოხმარების პროდუქტი" არაა, დამთვალიერებელს გიდის გარეშე უნდა შეეძლოს ექსპონატების გაცნობა. ამიტომ მათზე წარწერები სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იყოს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მას შემდეგ, რაც საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობა განუხრელად იზრდება და როცა სამტრედია ტურისტული გადაადგილების ცენტრად გადაიქცა, სასურველია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა ერთი უცხო ენა მაინც იცოდნენ. საყოველთაო პრაქტიკა ასეთია, მუზეუმების თანამშრომლებს ინტელექტით, მორალურ-ფსიქოლოგიური და ვიზუალური თვალსაზრისით ირჩევენ და არა მეგობრობითა და ძმაბიჭობით.

ისევე როგორც ეკლესიაში, არ შეიძლება მოცულობითი სურათების კედელზე დაკიდება (ისინი სტატიკურ მდგომარეობაში უნდა იყოს), ასევე სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა-განლაგება გარკვეულ წესებს უნდა ემორჩილებოდეს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს მემორიალური მუზეუმებისაგან განსხვავებით სხვა დანიშნულება, მისია აქვთ. შესაბამისად ექსპონატებს სპეციალური შერჩევა სჭირდება. მათში რომელიმე სახელოვანი პიროვნების პირადი ნივთებისა და სამეცნიერო ნაშრომების დემონსტრირება კი არ უნდა მოვახდინოთ (იშვიათი გამონაკლისის გარდა), არამედ წარსულში რაიონის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრებისა და სულიერი და მორალური კულტურის ამსახველი დოკუმენტების, წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების დემონსტრირება.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმების თანამშრომელთათვის აუცილებელია არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიის სპეციალობებში გარკვეული ცოდნა, ამიტომ, სასურველია, თუ მათ ჰუმანიტარული განათლება ექნებათ. არის პრაქტიკა, როცა შესაბამისი დახმარებისა და რჩევებისათვის ლექციების წასაკითხად სპეციალისტებს იწვევენ.

მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საკუთარი შენობის ასაგებად საჭირო თანხის მოძიებაა. ისეთი მდიდარი სახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სამუზეუმო ხარჯების მხოლოდ 10% აფინანსებს, დანარჩენი კოლექტივის აქტიური საქმიანობით მოიპოვება. ამ მიზნით მუზეუმს შეიძლება ჰქონდეს სპეციალური მაღაზია, სადაც გამოფენილი ექსპონატების მინიატურული ვარიანტები, ადგილობრივი ხელმარჯვე ოსტატების მიერ დამზადებული ნივთები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და ა. შ. გაიყიდება. მუზეუმთან შეიძლება არსებობდეს კაფე. ცაგერის მუზეუმთან არსებობს სადეგუსტაციო დარბაზი, სადაც დამთვალიერებლებს (და სხვებსაც) შეუძლიათ ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან დამზადებული ღვინოები და კულინარიული ნაწარმი დააგემოვნონ (გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა მუზეუმებთან კონტაქტები აუცილებელია).



ჩვენს რაიონში ამ მხრივ კარგი შესაძლებლობები არსებობს; აქ მრავალი სახეობის ჯიშის ვაზი ხარობდა: "კამური", "ადესა", "კუნძა მწვანე", "სამჭეჭა", "ალადასტური", "ფსხილათუბანი", "ჯანი", "ჩხავერი", "მაღლარი" და სხვა. მართალია, ძველად არსებული ჯიშებიდან ახლა ბევრი გადაშენებულია, მაგრამ დღესაც მოიძებნება ისეთები, რომელთაგან დამზადებული ღვინო დააინტერესებს მნახველებს. მათი მოძიებისათვის მონდომებაა საჭირო.

ჩვენებური ქათამი, კვერცხი, გოჭი და კვების სხვა პრდუქტები, აგრეთვე, სამტრედიული კულინარების ოსტატობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია.

სამუზეუმო შენობის ასაგებად მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხები შეიძლება საკმარისი არ იყოს. ამიტომ საჭიროა, ამ საქმეში კულტურის სამინისტრო და ბიზნესმენებიც კი ჩაერთონ.

ცაგერში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ასაშენებლად მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ თანხებზე მეტი კულტურის სამინისტრომ გაიღო. ბიზნესმენები თავიანთ შთამომავლებს იმაზე უკეთესს ვერაფერს ვერ დაუტოვებენ, ვიდრე მუზეუმის ასაშენებლად, გაღებული ფული იქნება.

მათი სახელები, ისევე როგორც სამუზეუმო ესქპონატების უსასყიდლოდ გადმომცემელთა სახელები, სპეციალურ ნუსხაში უნდა იქნას შეტანილი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული.

ჩვენს ქალაქში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ზემოთ დასახელებული და კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. ეს პრობლემები სასხვათაშორისოდ, სხვა საქმეებთან ერთად ვერ გადაწყდება. მათი გადაწყვეტა კი საშური საქმეა. ამისათვის საჭიროა პატრიოტიზმი, შემართება და დაუღალავი შრომა."

**ყოველი დღე გვაახლოებს მუზეუმისათვის საჭირო და კუთვნილი შენობის დასრულებასთან. ვიმედოვნებთ, შემდეგ კიდევ უფრო სრულყოფილი და მასშტაბური გახდება სამუზეუმო საქმიანობა, აქ დასაქმებულთა უდიდესი მონდომება და საქმისადმი სიყვარული გვაძლევს ამისი თქმის საბაბს.**

**უღრმეს მადლობას მოვახსენებთ, პროფესორ ვაჟა თვალავაძეს საინტერესო, სამომავლოდ გასათვალისწინებული რჩევებისათვის.**

ლევან გაბეჩავა

# "ეს დღეები სულ დამრჩება გულსა და გონებაში"

ნათია ნაცვლიშვილი

***განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული სამი სამტრედიელი მოსწავლე ახლახან პროექტ "ახალგაზრდა ხელოვანის" გამარჯვებული გახდა. კონკურსი დამწყებ პროზაიკოსებსა და მხატვრებს შორის ტარდება. კონკურსის ორგანიზატორია ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი (ხელმძღვანელი გიგა გაბელია).***

***სამტრედიის მეოთხე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა თამარ ჯინჭველეიშვილმა და მეორე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე თემურ გერაძემ პროზაიკოსების კონკურსში გაიმარჯვეს, ხოლო წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მეათეკლასელმა გურამ ტალაბაძემ მხატვრობის ტური წარმატებულად დაძლია და პროექტის გამარჯვებული გახდა.***

გამარჯვებულებმა შაორის ახალგაზრდულ ბანაკშიც დაისვენეს, საიდანაც ახლახან დაბრუნდნენ და შთაბეჭდილებები ჩვენც გაგვიზიარეს.

თემურ გერაძე: "ჩემი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თეა კარტოზიამ მაცნობა ამ კონკურსის შესახებ, გადავწყვიტე, მეც მომესინჯა ჩემი შესაძლებლობები, პირველი ტური ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ-



ელობის პირველ გიმნაზიაში ჩატარდა, კონკურსის შესახებ გვაცნობეს სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა. მონაწილეობა მივიღეთ სამტრედიის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმ, პროზაიკოსების კონკურსში მე და თამუნა ჯინჭველეიშვილი გადავედით შემდგომ ტურში, ხოლო მხატვრებში _ გურამ ტალაბაძე. პირველ ტურში საკონკურსო თემის სახელწოდება იყო: "სარკეში ჩავიხედე და სხვა ადამიანი დავინახე", მეორე, ფინალური დავალების სათაური შემდეგი იყო: "მეგობრის ოთახში ვარ, არ ვიცი, აქ როგორ მოვხვდი, მაგიდაზე კონვერტი დევს. "15დან 19 ივლისის ჩათვლით ვიმყოფებოდით შაორის მომავლის ბანაკში, ტრენინგებს გვიტარებდნენ პროფესიონალი კონსულტანტები ლექსო დორეული და ოთარ ჯირკვალიშვილი. ბანაკშივე გამოირჩა საუკეთესო ათეული, რომელშიც მოხვდა თამუნა ჯინჭველეიშვილი, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივულოცო მას ეს წარმატება, მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ქა-



ლაქს დიდებული ელჩი ჰყავს მისი სახით.

ბანაკმა გამაცნო ძალიან ბევრი განათლებული ბავშვი, უახლოეს ხანში მოზარდების ხელით შეიქმნება წიგნი, რომელიც უსინათლო და მცირედმხედველი თანატოლებისათვის იქნება განკუთვნილი. ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო ოთხი დღე, მივიღე დიდი გამოცდილება და დავუმეგობრდი ძალიან ბევრ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდას."

გურამ ტალაბაძე: "სიმართლე გითხრათ, როცა ოთახში შევედი და დავინახე ასაკით ჩემზე დიდი გოგობიჭები, ვიფიქრე, აზრი არ ჰქონდა რაიმეს დახატვას, მაგრამ ვეცადე და გამომივიდა. არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი და მომავლის ბანაკში წავიდოდი, დაახლოებით ორი წელია, რაც გრაფიკაში არ მიმუშავნია, არც პეიზაჟზე. სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავედი ხატწერაზე და დროის უქონლობის გამო იშვიათად ვმუშაობდი გრაფიკაში.

ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი ახალგაზრდული ბანაკიდან, იქ ისეთი რამ განვიცადე, რასაც ვერავითარი სიმდიდრე ვერ გაუტოლდება. ბავშვები იყვნენ ძალიან თბილები, არც დავმალავ, წამოსვლის წინა ღამით რომ ვტიროდით გოგონებიც და ბიჭებიც. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი რამ, ვისწავლე მეგობრობა, ყველა ერთმანეთს ვეხმარებოდით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელი გუნდიდან ვიყავით, ეს იყო კონკურსი, თუმცა ბავშვებმა კონკურსანტობას დახმარება, გაცნობა და მეგობრობა არჩიეს. ეს დღეები არასოდეს დამავიწყდება, სულ დამრჩება გულსა და გონებაში.

# ვაჟა ნადირაშვილი _ 80



ფაზისის მეცნიერებათა აკადემიისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი _ აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ვაჟა ნადირაშვილი 1939 წლის 7 აგვისტოს დაიბადა. მამა _ პროფესიით პოლიგრაფისტი, გაიწვიეს მე-2 მსოფლიო ომში და 1941 წელს, ომის დაწყებიდან სულ რაღაც ორ კვირაში უგზოუკვლოდ დაიკარგა. გერმანელებმა პირველი დარტყმა საზღვარზე მათ ნაწილზე მოახდინეს. დედა _ საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, თითქმის 60 წელი ემსახურა პოლიგრაფიას და 2003 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვაჟა ნადირაშვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა 1963 წელს ხიდებისა და გვირაბების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. იმავე წელს დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზაში გზის ოსტატად. იმხანად მიმდინარეობდა კახეთის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამუშაოები, იგი აწარმოებდა რკინიგზის ლიანდაგის კაპიტალურ შეკეთებას საგარეჯოდან კაჭრეთამდე.

1964 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს ენერგეტიკის მთავარი სამმართველოს _ "საქმთავარენერგოს" ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობის დირექციაში ჯერ უფროს ინჟინრად, ხოლო შემდგომ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად. მონაწილეობდა საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების პერსპექტიული დაგეგმვისა და განვითარების საქმეში, პროექტირებასა და მშენებლობაში.

1972 წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს საშენ მასალათა სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის მთავარ ინჟინრად, მონაწილეობდა საგარეჯოს აგურის ქარხნის, რუსთავის მოცულობითი ბლოკებით სახლმშენებლობის ქარხნის, წყურგილის (აფხაზეთი) არამადნეული მასალების ქარხნის, გუდაუთაში საშენ მასალათა საკავშირო სამინისტროს მრავალსართულიანი პანსიონატის მშენებლობაში.

1975 წელს დაიწყო მუშაობა ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში საპროექტო განყოფილების უფროსად. აწარმოებდა ქ. თბილისის სატრანსპორტო საწარმოების პროექტირებას, რეკონსტრუქციას და მშენებლობას.

1979 წლიდან არის საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს თბილისის ჯანდაცვის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი. მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა მე-5 სამშობიარო სახლი, ბავშვთა მე-13 პოლიკლინიკა, პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიური ინსტიტუტი, სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი მუხიანში, სტომატოლოგიური პოლიკლინიკა ლესელიძის ქუჩაზე და სხვა. შემდგომ წლებში იყო ქ. თბილისის ენდოკრინოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილე ეკონომიკისა და მშენებლობის დარგში, ქ. თბილისის ფთიზიოპულმონოლოგიური ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, სამოსამართლო სწავლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი.

2003 წელს დაიწყო და ხელმძღვანელობდა ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირზე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრისა და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას, რომელიც დაამთავრა 2007 წელს.

2007 წლიდან არის შპს "ივერიამშენ-პლუსის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. ააშენა საცხოვრებელი კორპუსები გოთუას ქუჩაზე და დიდ დიღომში, აგრეთვე, შვიდსართულიანი სასტუმრო "რეზოლუტი" შეკვეთილში.

2009 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება.

არის საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის დამფუძნებელი და თავმჯდომარე. ამ ფონდის ეგიდით გამოსცა საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია. იყო ამ გამოცემის მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ამჟამად მუშაობს მეორე წიგნის გამოცემაზე, არის ამ წიგნის მთავარი რედაქტორი.

ჩართულია საგვარეულო მოძრაობაში. არის სრულიად საქართველოს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, გვარის წინამძღოლი, საქართველოს საგვარეულო კავშირის "გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა სქელტანიანი წიგნი "გვარსახელები საქართველოში", სადაც შევიდა საქართველოში მცხოვრები ყველა _ 96700 გვარი.

მიუხედავად მრავალმხრივი საქმიანი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა არასოდეს განელებია თავისი დედულეთის, სამტრედიისადმი სიყვარული. მისი ბებია და ბაბუა _ მარიამ და სილიბისტრო ბაღდავაძეები ცხოვრობდნენ სამტრედიის შემოსასვლელში. ადრე ამ ადგილს ჯერ ქოსნათი, ხოლო შემდეგ ახალი სოფელი ეწოდებოდა. აქაური მცხოვრებლები ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშიდან იყვნენ გადმოსახლებულები. მდინარე რიონის გამუდმებულმა ადიდებამ და შემოტევამ ისინი აიძულა, მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრისი და აქ გადასახლებულიყვნენ. ახლა ეს სოფელი შეუერთდა ქალაქ სამტრედიას. ვაჟა იმ თაობას ეკუთვნის, ვისაც არდადეგების გატარება სოფლებში უწევდათ. მისი მამა სამამულო ომში დაიღუპა. იგი თბილისში ცხოვრობდა და სოფელი არ გააჩნდა. ამიტომ ვაჟა თავის სამთვიან (მაშინ ეს პერიოდი იყო) არდადეგებს დედის მხრიდან ბებიასა და ბაბუასთან ატარებდა, ამიტომ მთელი ბავშვობა აქ ჰქონდა გატარებული. იცნობდა ყველას, თამაშობდა აქაურ ბავშვებთან ბაძგნარის ჯერ კიდევ აუთვისებელ ველებზე. ამ კუთხის, მისი ოჯახის ისტორია შესანიშნავად აღწერა თავისი დედისადმი დაწერილ წიგნში "თინათინ ბაღდავაძე", ამ წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი გადასცა სამტრედიის ბიბლიოთეკას.

ამ კუთხისადმი მისი სიყვარულის გამოხატულება იყო, რომ შეიძინა ბაბუის ძმის ძველი ოდა სახლი, ჩაუტარა რეკონსტრუქცია-შეკეთება და მოაწყო ოთხნომრიანი მცირე სასტუმრო სამზარეულოთი და ფაცხით. ამით სამტრედიას შესძინა კიდევ ერთი სამეწარმეო ობიექტი და დაასაქმა იმ კუთხის მოსახლეობა. აქვე წინაპრების სახელზე აშენებს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიას. აქაც დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა.

ბატონ ვაჟას ჰყავს მეუღლე, დალი კიკნაძე და ორი ვაჟი: მიხეილი და ლევანი, ოთხი შვილიშვილი. უფროსი, მიხეილი არის შპს "მიკროავტობუსის" ექსპლუატაციისა და მოძრაობის ორგანიზების უფროსი. უმცროსი, ლევანი მუშაობს შპს "ივერიამშენ-პლუსში" მთავარ ინჟინრად.

ვულოცავთ ბატონ ვაჟას 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ!

**უახლოესი მეგობრები**

---

**ვაჟა ნადირაშვილს!**

დაბადების დღეს გილოცავ, ძვირფასო მეგობარო! ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობასა და ღვთისგან ბოძებულ ყოველგვარ სიკეთეს გისურვებ!

**კარლო კალაძე**

# მოჭიდავეები შეკრებიდან მოტივირებულნი დაბრუნდნენ

ახლახან ბახმაროდან დაბრუნდნენ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (ირაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ვეფხია სტურუასთან ერთად ოცდაექვსმა მოსწავლემ კურორტ ბახმაროზე სამწვრთნელო შეკრება გაიარა. მეათე წელია, რაც მწვრთნელმა ეს ტრადიცია დაამკვიდრა. როცა სამტრედიაში გაუსაძლისი სიცხეა და ხალიჩაზე ვარჯიში შეუძლებელია, ამ დროს საუკეთესოა ფიზიკური მომზადების კურსის ბახმაროში გავლა. მოსწავლეები ორი კვირის განმავლობაში არა მარტო ჭიდაობის აღნიშულ სახეობაში ვარჯიშობენ, არამედ, ეს გასვლა გულისხმობს კულტურულ და შემეცნებით დასვენებასაც. ყველაზე საუკეთესო მომენტი კი ის არის, რომ მომავალი სპორტსმენები გარემოს იცვლიან და ერთგვარ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც გადიან.



გვესაუბრება ვეფხია სტურუა: "წლეულს განსაკუთრებით წარმატებული შეკრება გამოგვივიდა, რაშიც ამინდმაც შეგვიწყო ხელი. მოგეხსენებათ, საქართველოს უნიკალური კურორტი ბახმარო ზღვის დონიდან 2050 მეტრზე მდებარეობს, როგორც ვიცით, ყოველ ას მეტრ სიმაღლეზე ასვლისას ნახევარი გრადუსით ეცემა ტემპერატურა, შესაბამისად, ჩვენს ქალაქთან შედარებით ბახმაროში ათი გრადუსით დაბალია ტემპერატურა. შეკრებაზე იმყოფებოდნენ რამდენიმე ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენები, მათ შორის ყველაზე პატარები 8 წლისანი იყვნენ, ხოლო, ყველაზე დიდები 17 წლისანი. დილის გამამხნევებელ ვარჯიშს 8 საათზე ვიწყებდით, საღამოს ვარჯიშს კი, 5 საათზე. რა თქმა უნდა, დასვენების დროს მოსწავლეებს შეეძლოთ გართობაც და მათთვის საინტერესო საკითხების გარშემო საუბარიც. სპორტსმენთა შორის იყვნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები. მათ შორის, ზოგიერთი ემზადება სხვადასხვა პრესტიჟულ ტურნირზე ასპარეზობისათვის. ვუსურვებ მათ წარმატებას, გამარჯვების შემთხვევაში, უსათუოდ, თქვენი გაზეთის მეშვეობით გაცნობებთ. მოსწავლეებს კურორტზე ჰქონდათ სამჯერადი კვება, ისინი კარგად მომზადებულნი დაბრუნდნენ, თითოეული მათგანი მოტივირებულია მომავალი წარმატების მისაღწევად".

**ნათია ნაცვლიშვილი**

სამტრედიის მაცნე



# ბექა მიქელთაძე სამტრედიის სიამაყეა

22 წლის ბექა მიქელთაძე წარმოშობით სამტრედიელია. მისი ოჯახი დღესაც ჩვენს ქალაქში ცხოვრობს. ბექა წარმატებული სპორტსმენი იყო, სამი წელი ფეხბურთში მას მწვრთნელი ნიკოლოზ ჭიქაშუა ავარჯიშებდა. პერსპექტიული მოზარდი 8 წლის ასაკიდან ზუგდიდის "ბაიაში" თამაშობდა. 16 წლის რომ იყო, უკვე ზესტაფონის "ზესტაფონში" ეროვნულ ლიგაში ასპარეზობდა, "დინამოში" _ 2015-2016 წლებში.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა ბექა მიქელთაძის მწვრთნელს, ნიკოლოზ ჭიქაშუას, რომელმაც ჩვენთან დეტალურად გაიხსენა თავიდანვე განსაკუთრებული სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდა: "ბექა ჩვენთან სამტრედიის "სანავარდოში" 5 წლის ასაკში მამამ მოიყვანა. პატარა იყო, მაგრამ მომხიბლა მისმა სისწრაფემ, ტექნიკურობამ. ასაკი უშლიდა ხელს, თორემ უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი იდგა ჩემს წინ. "სანავარდოში" სამი წელი ვარჯიშობდა, პერსპექტიული მოთამაშე იყო და დიდებში, სამი წლით უფროსებში გოლი გაჰქონდა. თანდათან დაიხვეწა და როცა ზუგდიდის სპორტული კლუბი "ბაია" შეიქმნა, სადაც პირობები უკეთესი იყო, მშობლებმა ზუგდიდში წაიყვანეს. როცა "ბაიას" საფეხბურთო სკოლა დაიშალა, ზესტაფონის "ზესტაფონის" მწვრთნელმა კახი კაჭარავამ დამირეკა და მთხოვა: ბექა მიქელთაძე შენი გაზრდილი ყოფილა და ჩამომიყვანეო. ეროვნულ ლიგაში მოთამაშე "ზესტაფონმა" ბექა უფრო მეტად დახვეწა, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი კახი კაჭარავამ თავისთან "დინამოში" წაიყვანა სათამაშოდ.

რამდენიმე წლის შემდეგ ბექა საბერძნეთის გუნდში თამაშობდა. "კვიპროსიდან" "რუბინ _ ყაზანში" გადავიდა სათამაშოდ. "რუბინ _ ყაზანის" ფეხბურთელის გოლმა მსოფლიო აალაპარაკა. ამ დღეებში სოციალური ქსელი დაიპყრო ინტერნეტნიუსმა, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ჩემპიონატში ბექა მიქელთაძეს გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

ბექას წარმატებით მთელი სამტრედია ამაყობს. სიხარულის მიზეზი აქვს მის პირველ მწვრთნელს, ნიკოლოზ ჭიქაშუას: "ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივულოცავ ბექა მიქელთაძეს ამ წარმტებას, ვუსურვებ, მალე უფრო დიდ გუნდში გვენახოს მისი თამაში, ბევრი გამარჯვების გოლი გაეტანოს".

***ნინო ნანიტაშვილი***





მალხაზ მირცხულავა სადისერტაციო თემის ხელმძღვანელებთან ერთად.

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

რამდენიმე თვის წინ ჩვენგან წავიდა ღირსეული პიროვნება, ნამდვილი ქრისტიანი, განსწავლული დასტაქარი, წარმატებული მეცნიერი, უზადო მჭევრმეტყველი, საოცრად მზრუნველი მეუღლე და მამა, თითოეული ჩვენგანის ერთგული და უღალატო მეგობარი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი კაცი ილია-მალხაზ მირცხულავა.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი. მას უფალმა მიჰმადლა უდიდესი ნიჭი რწმენისა და სიყვარულისა. ის იყო ღრმად ერუდირებული, დიდი პროფესიონალი, მრავალმხრივი ექიმი, რომელიც ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა ადამიანებს სოხუმის დაცემისას თუ სამტრედიაში, ფოთში, ხობში, ლანჩხუთში და ვანში მოღვაწეობისას.

მისი ცხოვრების გზა ქრისტეს გზაა, უფლის დიდებით, სიკეთითა და სიყვარულით გაბრწყინებული. ის ყველას და ყველაფერს უმკლავდებოდა თავისი დიდი ადამიანობით. მის მგრძნობიარე გულს შეეძლო სულგრძელად ეპატიებინა მავანთათვის უმადურობა და ორგულობაც კი.

ბატონი მალხაზი თავისი ყოველდღიური ცხოვრების წესით ჩართული იყო ქრისტეს დიდებაში, სამშობლოსა და ადამიანების მსახურებაში. რამდენიმე საათით ადრე გარდაცვალებამდე უდიდესი პროფესიული სიამოვნება მიიღო, როდესაც პატარა პაციენტს, თავის ნათლულს გაუწია ქირურგიული დახმარება და ამით ის ერთგვარად დაემშვიდობა კიდეც თავის საყვარელ პროფესიას.

დიახ, ასეთი იყო მისი ცხოვრება _ დაუდგრომელი, ენერგიული, მშფოთვარე, მაგრამ რწმენითა და სასოებით აღსავსე. ოცნებობდა სოხუმში დაბრუნებაზე. მისი მოუშუშებელი გულისტკივილი ხომ მისი აფხაზეთი იყო.

ბატონო მალხაზ, თქვენ თითოეული ჩვენგანის იმედი იყავით, როგორც პროფესიონალი. უტყუარი დიაგნოზითა და სწორი მკურნალობით ბევრი ადამიანი გადაგირჩენიათ და კიდევ ბევრს გადაარჩენდით, მაგრამ, სამწუხაროდ უფალმა ასე ინება.

მარადისობაში გადასულს ანგელოზის დღე მინდა მოგილოცოთ _ წმ. ილია თეზბიტელისა და წმ. ილია მართლის ხსენების დღე. შევთხოვთ თქვენს უდიდეს მფარველ წმინდანებს, რომ უფლის მეოხება არ მოაკლდეს თქვენს უკვდავ სულს და დაგამკვიდროთ იქ, "სადაც მართალნი განისვენებენ".

**პატივისცემითა და მონატრებით**

***ნატალია კოკალეიშვილი***

# მაგული შენგელია-ოდილავაძის გახსენება



უკვე ორმოცი დღე მიიწურა, რაც ჩვენგან წახვედი, ჩვენო თბილო, კეთილო ადამიანო. ცრემლებით ვიხსენებთ ძველ დროს, როდესაც უშურველად გასცემდი სიკეთეს, სითბოს, ყველას იმედი იყავი, მუდამ მოფუსფუსე, საქმიანი, ენერგიული, დაუღალავი. დაცარიელდა შენი სახლი უშენოდ. დააკლდი ყველას, შენს დიდ ოჯახს, სანათესაოს, ახლობლებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს. ყველას ხომ ძალიან უყვარდი.

დრო ულმობლად მიჰქრის და გვიტოვებს ბევრ სევდიან და ტკივილიან მოგონებას შენზე. გვენატრები! უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

***შენი ოჯახი***

---

ორმოცი დღე გავიდა, დედა, შენი გარდაცვალებიდან. ჩემი ფიქრები სულ შენ გევლება თავს. ძალიან მენატრები და მტკივა უშენოდ გათენებული და დაღამებული დღეები. გაუსაძლისია ჩემთვის შენი დაკარგვა, უშენობა მტანჯავს, ჩემო დედიკო.

ცხოვრება შენს გარეშე მუდმივი ბრძოლაა ყოველდღიურობასთან, თუმცა თან სდევს შენი დატოვებული სითბო და სიყვარული, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდება შენი გაკეთებული სიკეთე და მიადვილებს ცხოვრებას.

უფალს ვთხოვ, ნათელში გამყოფოს და შეგიფაროს. ჩემ მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას...

***შენი მაია ოჯახით***

დღეგრძელთა ასაკში განერიდა წუთისოფელს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო (ამჟამად მე-12 საჯარო) სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ჩემი თაობის აღიარებული უფროსი პიონერხელმძღვანელი, შემოქმედებითი იდეებით მდიდარი, ბავშვების საუკეთესო მეგობარი და მათი ინტერესების დამცველი, ძველი სამტრედიის უძველესი გვარის წარმომადგენელი, ღირსეული მეუღლე, დედა, ბებია და დიდებული ქალბატონი **თალიკო ქართველიშვილი**. ჩვენი თაობის სახელოვან პედაგოგთა უკანასკნელი მოჰიკანი მარადისობაში დაიმკვიდრებს ადგილს.

1958-59 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთა (და არა მარტო მათი) სახელით გამოვხატავთ გულწრფელ გულისტკივილს ქალბატონი თალიკოს გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს.

***ნათელა გელეიშვილი***

---



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ელიზა ცხვირავაშვილს დედის, ქალბატონი

**თალიკო ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა ნიკოლეიშვილი და ლევან გაბეჩავა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი

**თალიკო ქართველიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე თანაუგრძნობენ ელიზა და გია ცხვირავაშვილების ოჯახებს ძვირფასი დედის, სამტრედიის კოლორიტი ქალბატონის, მრავალი ბავშვის აღმზრდელი ღირსეული პედაგოგის, ქალბატონი

**თალიკო ქართველიშვილის**

გარდაცვალებას.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბექა ფოცხვერიას ბაბუის, ბატონი

**ვახტანგ ფოცხვერიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ბექა ფოცხვერიას ბაბუის, ბატონი

**ვახტანგ ფოცხვერიას**

გარდაცვალების გამო.

ტარიელ დვალიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ვახტანგ თავაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



# ჰიპ-ჰოპი და სამტრედია

"მომავლის პარკში" ივლისის საღამოებზე ჟრიამული ჩვეულებრივი მოვლენაა. ახალგაზრდებისთვის უჩვეულო არ გახლდათ რამდენიმე დღის წინ აქაური საზაფხულო სცენა. "ქართული ჰიპ-ჰოპ ლაივის" საღამო საბა სტურუას, ავთანდილ უჯმაჯურიძის, ლუკა ივანიაძისა და საბა რუხაძის უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით გაიმართა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი მთავარი მხარდამჭერი კულტურული მემკვიდრეობისა და რეგიონალური განვითარების ფონდი გახლდათ, რომელსაც სერგო რუხაძე ხელმძღვანელობს. როგორც კონცერტის ერთ-ერთმა მონაწილემ, საბა რუხაძემ განაცხადა, მათ უნდათ: "საქართველოში ამერიკული კულტურის შემოტანა და დამკვიდრება. პატივს ვცემთ ქართულ სიმღერას, ფოლკლორს, მაგრამ ჰიპ-ჰოპი თანამედროვე სიტყვაა ახლანდელ საქართველოში. ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოში ჰიპ-ჰოპ კულტურის განვითარება და მსმენელის ქართული რეპით დაინტერესება."

მელოდიას აყოლილი ახალგაზრდები არ მალავდნენ, მათთვის შესანიშნავი გართობაა ამგვარი საღამოები. მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე კი აცხადებდა, რომ მათ გაითვალისწინეს ახალგაზრდების სურვილი და ორგანიზატორებს დაეხმარნენ საღამოს მოწყობაში.

**თეა ბაზუნაშვილი**



## გილოცავთ!

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე დაბადების დღეს ულოცავენ ნიკოლოზ და ნოდარ გიგინეიშვილებს! სასახელო ვაჟკაცები გაზრდილიყვნენ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11
მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა

## ვერ დამალავთ შუბს ხალთაში ირაკლი და ხალვაში!



# ჩვენი მეგობარი პოეტი

ყოველ დილით საქაღალდით ხელში შემოვიდოდა რედაქციაში და თბილად შემოგვაგებებდა: "სხვაგან სად წავიდე, რედაქცია ჩემი მწერალთა კავშირიაო". ასე გაილია წლები, ასე დავახლოვდით მრავალი პოეტური კრებულის ავტორთან, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატთან, ბატონ ნოდარ ადეიშვილთან.

ყოველი დილა მისეული, სადი იუმორითა და ფინჯანი ყავით იწყებოდა, მერე ჩვენს საქმეს მივხედავდით. მწერლები, პოეტები ხშირად სტუმრობდნენ რედაქციას, ასეა ამჟამადაც. მაგრამ ისე ახლოს, როგორც ნოდარ ადეიშვილი იყო რედაქციის თითოეულ თანამშრომელთან, არავინ ყოფილა. ოჯახებშიც ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს და ასაკობრივი ზღვარიც რამდენადმე წაშლილი იყო ჩვენს შორის. ბოლოს ავადმყოფობა მოეძალა. რამდენიმე ხანს საწოლს მიეჯაჭვა და...

იანვრის ერთ სუსხიან დღეს, როცა მისი ეზოს თხმელის ხეზე მისი საყვარელი ჩიტები აღარ გალობდნენ ზამთრის სუსხს შეფარებულები, პოეტი აღესრულა. "ამ დღის შერცხვება საქართველოს"-ო თქვა დაკრძალვაზე ქალბატონმა ლელა მეტრეველმა, ახალგაზრდა პოეტმა, ნოდარ ადეიშვილის პოეზიის დამფასებელმა.

პომპეზურობის გარეშე, ყოველგვარი წესის დაცვით დაიკრძალა პოეტი სამტრედიის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

არც კი ვიცი, რატომ გადავწყვიტე ნოდარ ადეიშვილზე წერილის წერა. არანაირი თარიღი არ სრულდება, არც დაბადების, არც გარდაცვალების, მაგრამ, ალბათ, მონატრებამ იმძლავრა, მონატრებას კი თარიღები არ სჭირდება. პოეტის მიერ ადრეულ წლებში დაწერილი რამდენიმე ლექსით გავიხსენებთ ამჯერად მეგობარ შემოქმედს.



### მთვარის ეტლი

მთვარის ეტლში გადავცვალე
პაპის ძველი ურემი
და მეც ახლა უფრო იქ ვარ,
სადაც არ გეგულები...
მაგრამ თუკი შემომესმა
ხმა უეცარ გოდების,
ბიჭო,
სხვაზე მათხოვებენ,
ველარ დაგელოდები,
მივატოვებ
ცას და ცისფერს,
რომ კვლავ ჩავიღიღინო:
სასიმამროს ღვინო უყვარს,
სასიდედროს ღიღილო.

### მეეტლევ ჩემო

ისევ ის ტყე და ისევ ის ჭალა,
ისევ ის ცა და ფრთები...
მეეტლევ! გული მიჩქარის, ჩქარა,
ხმები, ნანატრი ხმები...
ღელე,
წისქვილი,
სამჭედლო,
ცაცხვი.
ბუკებს ხომ უსმენ, ბუკებს...
მეეტლევ ჩემო,
ახლა კი მარცხნივ,
აჰა,
მოვედით უკვე.

### მამული

მომშივებიხარ მიწის შიმშილით
და ვტირი ტირილს, სულ რომ მიშლიდი,
თუმცა იმედიც მაქვს, დავბრუნდები, –
როგორ მოკვდება სხვაგან მთის ჩიტი.
ოღონდ
ჯერ უნდა
გამოღმა,
გაღმა,
შემთბარი ზეცა შეეხოს ტოტებს,
რაა იმაზე ძვირფასი ახლა –
იყო სადმე და იმედი გქონდეს.

### ფრაგმენტი წერილიდან

ამ დილით კარის მეზობელმა – კოწია ქართველიშვილმა თავი ჩამოიხრჩო.

...

ეძებდნენ წერილს,
ეძებდნენ მიზეზს,
მაგრამ ამაოდ...
ცარიელი იყო: უჯრა, ქვაბი, კალათი, დერგი და
ის ერთადერთი შარვლის ჯიბეებიც.
ბოლოს ვიღაცამ ჩაილაპარაკა:
– ვაი, შე საწყალო,
ამ ხალხში მარტო შენ ყოფილხარ სასიცოცხლოო და
ეზოდან გავიდა.
...
კვირას ასაფლავებენ.

### ოღონდ...

არც რას მოგთხოვ რამე ლოცვანს,
არც რას გკითხავ გასაოცარს,
ოღონდ აქ რომ ქოხი იდგა
და ჩიტები ესხა მოცხარს,
სად წავიდა
რა ბინდებმა
გამორიეს ცისკრის ფერი...
კიდევ ბევრჯერ ატირდება
ამ ლოდებთან ლერწმის ღერი.

**ლევან გაბეჩავა**